



მარტა (მარტა) იანუშვილი

ქალ გე...

ქალ – ზეთისოფელი!

მართა (მაია) იასეშვილი

ძალს მე...

ძალს – წუთისოფელი

ლ ე ქ ს ე ბ ი

თბილისი

2024

ბიოგრაფიული შტრიხები:

დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, შემდეგ თელავის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა-ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. იკვლევს ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებას. გამოქვეყნებული აქვს ლიტერატურული წერილები. მუშაობს გაზეთ „ალია“-ში ჟურნალისტად.

რედაქტორ-გამომცემელი:

დეკანოზი ილია ჩიკვაძე

მთავარი რედაქტორი:

გზინა ხეთაგური

განმცემელი რედაქტორი:

გორა სოზიანთაძე

© მაია იანაშვილი, 2024

© გამომცემლობა „საქართველოს მონაგა“, 2024

ISBN 978-9941-8-6747-7



ავტორისაგან

„ძალს მე ძალს წუთისოფელი“ დავარქვი ჩემი პოეზიის პირველ კრებულს, რომლის გამოქვეყნებაც ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მიხდოდა მაგრამ, არსთა გამრიგეს თავისი გეგმები აქვს თითოეულ ჩვენგანთან და მართლაც, მთელი ცხოვრება: ძალს მე და ძალს წუთისოფელი. წუთისოფელი მაინც თავის ნებაზე მიდის, დამშლელიც არავინა ჰყავს და ჩემი ლექსებიც მთვარესთვის ძაღლების ყეფას მაგონებს. თუმცა ეს განცდა ხელს არ მიშლის სამყაროს არსსა და სილამაზეს ლექსად ვხედავდე, ლექსად ვგრძნობდე დედამიწის ძალას, ცის უსასრულობას. ყოვლისშემძლეობას „მუხლადი, ბედაური, ქართული სიტყვისას“.

მახსოვს, პირველი ლექსი შვიდი წლისამ დავწერე. ვაჟა-ფშაველას მივუძღვენი.

ბავშვობიდანვე „მინოკებდა შთაგონებას“ ფშაური სიტყვის სახმიდი. თუმცა, არ ვიცოდი, რატომ მიზიდავდა ფშაურ დიალექტზე წერა. როცა გავიზარდე და გავიგე, რა იყო გენეტიკა, მერე მივხვდი, რომ ფშაური ფოლკლორი და ფშავის ჩვენებანი სისხლის მახსოვრობის „ბრალი“ იყო.

პაპაჩემი ხვთისო კულალაშვილი, პანკისის ხეობის სოფელ ყვარელწყალში მცხოვრები მოლექსე გახლდათ და თეთრთმეტი შვილიშვილიდან, მხოლოდ მე დავდევი კალმითა და ფურცლით ლექსის თუ ექსპრომტის ჩასაწერად.

პაპაჩემს უხაროდა, რომ პირადად იცნობდა ფშაველი მელექსეების სათაყვანებელ ვახუშტი კოტეტიშვილს — ხალხური სიტყვიერების უდიდეს ქომაცსა და მოსარჩლეს.

გამოხდა ხანი, მე გავიზარდე და ერთ მშვენიერ დღეს უკვე ყურნალისტის დიქტოფონით ვესტუმრე ჩემს საყვარელ ვახუშტის, გენიალურ მთარგმნელს, ქართული სიტყვის მეჩუქურთმესა და მეციხოვნეს, მის შემოქმედებაზე სასაუბროდ და სხვათა შორის, ჩემი ნაწერებიც გავანდე. ასე ვიქეცი ვახუშტის



ოჯახში პოეზიის დღესასწაულთა მარადიულ სტუმრად. ასე, ჩემს თვალწინ იქმნებოდა შედევრთა შედევრები; ლექსები, სონეტები, პოეტური პროზა..... ასე გაჩნდა ჩემი წიგნის წინასიტყვაობაც, ამ წიგნის მთავარი ფურცელი და ორნამენტი. პოეზიას, არც სიკვდილ-სიცოცხლეს არა აქვს მიჯნა და სამანი და ორივე სოფელში სიმდიდრედ გამყვება ვახუშტის თვალთ და-ნახული „მინდვრის ყვავილი“ და თუ თქვენამდეც მოვანიე და გამოსარჩლებად ჩამითვლით ნათქვამ-ნაფიქრალს, ბედნიერებისთვის და სიცოცხლის გასამართლებლად ესეც მეყოფა.

მართა (შაია) იასეშვილი
2018 წელი. 10 მაისი.



მინდვრის ყვავილი

მე მინახავს ასეთი საოცარი სურათი: ქალაქის ასფალტზე ოდნავი ბზარი უპოვნია მინდვრის ყვავილს, თავი ამოუყვია და ყელიც მოუღერებია. იქვე, მაღაზიის ვიტრინაში ხელოვნურ ყვავილებს ზეიმი ედგათ. თავს იწონებდნენ ტანწერწე ტიტები, ვარდები თუ ქრიზანთემები. მათგან ყოველს თავ-თავისი ფასი ედო, არცთუ მცირედი. იქვე, კედლის ძირას კი მინდვრის ყვავილი ენთო, უფასო, მაგრამ ნამდვილი.

ეს ადრე ნანახი სურათი გამახსენდა, როდესაც მაია იასეშვილის ლექსებს გადავეყარე. იგი არ ჰგავდა იმ ხელოვნურ „იკებანას“, რომლითაც ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის ვიტრინები იყო აჭრელებული. აქ ყოველი სიტყვა ნაღდი იყო, ნამდვილი და მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი მიწისა და ცის ნამის სურნელი.

ავილოთ თუნდაც ყველაზე პატარა, თითქმის არაფრით გამორჩეული ლექსი:

**არავინ აღარ მგონია
ჩემი ტკივილის მომრევი,
დამემხო რწმენის ტაძარი,
გადიდდა ცოდვის მორევი,
ვიტვირთე ურვის სიმძიმე,
საზიდი კუბოს კარამდი,
„შენ, ჩემო დილო იმედო“,
რა მალე დაპატარავდი?!“**

ამ ლექსის დაწერას რა უნდაო? — იტყვის ბუტაფორიული, ხელოვნური ყვავილების მოყვარული მოდერნისტი. მე მას მხოლოდ ამას ვეტყვი: — აბა, მიდი და სცადე, მაგრამ არაფერი



გამოგივა, ვინაიდან ასეთი ლექსები ციდან კი არც ცვივა, არამედ მათ მიწის მადლი შობს, სულის საამო მტეხიარობა და ლამაზი სევდა.

ეს ყოველივე უხვად ჩქეფს მაიას ლექსებში.

თქვენ მხოლოდ გადაშალეთ, ეს პატარა წიგნი და დანარჩენს თვითონ ლექსები ჩემზე უკეთ გეტყვიან.

ძვირფასო მკითხველებო, ქალაქის მტვრიან ქუჩებში სიარულისას იყურეთ ფეხქვეშ, იქნებ სადმე მინდვრის ყვავილი იყოს ამომზეურებული. ფრთხილად, ფეხი არ დაადგათ!

ვანუშტი კობახიშვილი,
მწერალი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
 საქართველოს პედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსი,
 ხალხური ხელოვნების
 დაცვისა და აღორძინების ცენტრის თავმჯდომარე.



რედაქტორისაბან

ენდე მკითხველს!

ქართული და არა მხოლოდ ქართული პოეზიის შეფასების მეტრის — ვახუშტი კოტეტიშვილის წლების წინ დაწერილ მოსაზრებას, განა რა უნდა შევმატო ისეთი, რომ განსხვავებული და საინტერესო იყოს?

და მაინც, მეც ჩემი შთაბეჭდილება შემექმნა — როგორც რედაქტორმა და მკითხველმა, მეც ჩემი მაია იასეშვილი აღმოვაჩინე.

ხალხურ მოტივებზე ზეგავლენით დაწერილი ლექსები, ჩემი აზრით, უკვე კარგად დაზეპირებული გაკვეთილივით, გენეტიკურად კოდირებულია; ტკივილიც და სილაღეც ყველა ქართველის სისხლშია გამჯდარი და დედის მიცლიდანვე სიმღერასავით ამოთქმული!

რითმების პრიმატულობა სიბრძნის კბილივით ამოსული მარად მოუცვლელი სიბრძნეა...

მაია იასეშვილიც ამ ხალხურით საზრდოობს, ოღონდ ამავედროულად, სრულიად მოულოდნელად, თანამედროვეობის თვალსაზრისითაც, უეცრად მოგნუსხავს: „მინის ლოგინი“, „სხვა კუნძულზე განაპირება“, „ვიმარჩიელებ ფოთლების კარტით“, „როცა მოვკვდები, მაშინ არა, ეხლა მიტირეთ!“, „მივდივარ, რადგან არავისაც აღარ გენდობით, თუ გინდათ, რისხვით გამიხსენეთ, გინდა — შენდობით!“, „ლექსია ჩემი ეპიტაფია“... და ა.შ.

ჩემო მაია! „ფოთლების კარტზე“ მარჩიელობის გარეშეც გატყვი, რომ შენს წასვლამდე ჯერაც შორია...

რაც შეეხება ნდობას, ზოგჯერ ჩანახლული გულის მიუხედავად, ენდე მკითხველს! — ის უსათუოდ დაგიჯერებს და უნებლიე ცოდვებსაც, სწორედ ის შეგინდობს!

მაია ხეთაბური,

მწერალი, საზოგადო მოღვაწე,

წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერი.

2018 წ. 9 მაისი



* * *

მართა ჩემი ბავშვობის მეგობარია!

ერთად გავატარეთ სტუდენტობა, და-ძმობა გვექონდა, უს-პეტაკესი ბავშვობა, მერე გავიზარდეთ და ჩვენს გზებს და აღმართ-ბილიკებს შევეუყევით, დროც გავიდა, ხან ნელა, ხან სწრაფმავალი ორთქლმავალივით ხმაურიანად...

ცოტა ხნის წინ დამირეკა, ავად ვარო, ვინახულე; მას შემდეგ ვაზიარებ მაცხოვრის წმიდა სისხლსა და ხორცს, მთელი არსე-ბით ცდილობს ებრძოლოს მძიმე სენს, გულწრფელი აღსარე-ბებით და წმიდა ზიარების მადლით გაჯერებულა დღეს მისი ცხოვრება;

ჩვენ ერთად გავატარეთ ბავშვობისა და ყრმობის უწმიდესი წლები და ამ შეუბღალავი და-ძმური ურთიერთობების ნაყოფია ეს კრებულიც, ბრწყინვალე პოეტური შედეგებით დახუნძლუ-ლი...

იდლეგრძელე და იჯანმრთელე ჩემო დაიკო, ჩემო მართა!.. შენს ბრწყინვალე პოეტურ შემოქმედებასთან ერთად, ღმერთმა დაგილოცოს ერთადერთი ვაჟკაცი, უნიჭიერესი ახალგაზრდა, რეჟისორი დავით თურქიაშვილი, შენი იმედი და შენი ჯიშისა და ჯილაგის გაგრძელება, ვიმედოვნებ, რომ ეს ბრძოლა აუცი-ლებლად გამარჯვებით და ხანგრძლივი სიცოცხლით დაგვირ-გვინედება, რომელიც გამოხატულებას ღვთის დიდებასა და შემოქმედებით აღმავლობაში ჰპოვებს.. დლეგრძელად მყავდი, დაო!..

დეკანოზი ილია (ნუზგარ) ჩიკვაიძე,
1 ივნისი, 2024 წ.



მე შან სიყმანული

* * *

იყო და არა იყო რა
 ნიქარა ხარი მერქვა,
 დამიმეგობრდა ტლუ ბიჭი
 ობოლი, დედისერთა.
 არ დავაკელი საზრდელი
 ჩემი ჯადოსნურ რქისა,
 მდიოდა ერბო და თაფლი
 ვერცხლით ავუვსე ქისა.
 მივეცი სალამურები
 ნათალი ლერწმის ხისა,
 სადაც უჭირდა იქ ვჩანდი
 ყველგან ვარიდე ჭირსა.
 შეუჩნდა ქალი ლამაზი,
 უჩენდა ბროლის კბილსა
 ჩემი გულ-ღვიძლი მოსთხოვა,
 სიმოკლე ჩემი დღისა.
 ბიჭი არც დაფიქრებულა,
 ყელთან დამისვა დანა,
 ამომაცალა გულ-ღვიძლი
 საყვარელს მიუტანა.



ახლა უგულოდ დავდივარ,
არცრაზე გული მწყდება,
ჩემს გაზრდილ ბიჭს კი დარდიანს
თითქმის ყოველდღე ვხედავ.
ჯობია გული გტკიოდეს,
ვიდრე უგულოდ დარჩე
ჩამიდგას გული საგულეს,
ვთხოვ ცის და მიწის გამჩენს.
იყო და არა იყო რა...
მერქვა წიქარა ხარი,
ბევრი რამის თქმა მინდოდა
და ცოტაც ვერ გითხარი.



* * *

„ქარო, მიუვალ კლდეზე დადგი ჩემი კარავი“,
 ვარსკვლავთ გულისთქმას ამაღევნე
 მუქლურჯო ზეცავ —
 ცოდვის სავანეს მოვდგომივარ ლარიბი მგზავრი
 და ველარ მათბობს სხივმოსილი თაკარა მზეცა.
 ცა ქვეყნის გამჩენს აღსარება მინდა შევბედო,
 მინაზე ყოფნით დავილაღე, მინდა ღრუბლებთან,
 სად დამეკარგნენ უდრტვინველი გაზაფხულები,
 სინათლე სულის ნუთუ აღარ დამიბრუნდება.
 მხოლოდ ტკივილი დამრჩენია ერთგულ მსახურად,
 და მასთან გაყრას არ მპირდება ქვეყნად არავინ,
 ზეაღსვლა მინდა,
 ვარსკვლავების საუფლო წმინდა,
 „ქარო, მიუვალ კლდეზე დადგი ჩემი კარავი“.



მე ვარ სიყვარული

ლალი თავართქილაძეს

ღრუბლებით რას ხატავს?
 ან ვარსკვლავთ სიმრავლით
 რას ამბობს სამყარო,
 ბედი რას მპირდება
 რა იცის ტყის პირას გაშლილმა გვირილამ
 მე მაინც დავფურცლავ,
 მზით ავარვარებულ შავთვალა ყაყაჩოს
 შენს გადაკარგვაზე პასუხსაც მოვკითხავ
 სიძველეს ღვინისას, ვიცი ვერ გიპოვი
 თუმც ირმის ბლავილით მოგძახი სადა ხარ
 უშენოდ ზღვა დაშრა,
 ცა ჩამოიქცა და ვენახი გადახმა.
 გუნდი ვარ ფრთოსანთა,
 ხან ამწვანებული მდელო და კორდი ვარ
 შმაგი მდინარე ვარ,
 და ცის საიდუმლო ცოდნიდან მოვდივარ,
 პოეტის ლოცვა ვარ,
 ავდრის მოლოდინში იმედი მეცხვარის,
 ზამთრის ბოლო ღამე,
 გაზაფხულის დილა, პირველი მერცხალი.
 სიკვდილთან სიცოცხლეს ომი გაუმართავს
 ვბრუნდები ომიდან,
 უნიგნო პოეტის უბირი ლექსი ვარ
 მაიას ტომიდან.



ვერსად მოგაგენი,
 თუმც ირმის ბლავილით
 მთა-კლდეებს ვეველები,
 დღე ვარ შემოდგომის,
 ღვინდება რქანითელის დამტკბარი მტევნები
 ქვეყნის გაჩენიდან თქვენს მოსაფერებლად
 ყოველდღე მოვდივარ.
 მე ვარ სიყვარული
 ნურავინ ნუ წამშლით წარსულის ხსოვნიდან.



* * *

დღეს მინდა იმ გზაზე წავიდე,
სადაც შენ არასდროს გაივლი,
არ გჯერა? ენძელას შეხედე,
ყინულზეც კი ხარობს ყვავილი.

ლამეს მონასტერში გავათევ
იქვე შევინახავ დიდმარხვას,
და ყველა წმინდანი გაიგებს
როგორ უსაშველოდ მიყვარხარ.

მაგრამ დღეს სულ სხვა გზით მივდივარ
და უფლის სამსჯავროს არ ველი,
ყინვით მოსრაკული მინა ვარ
პატარა სულ ერთი მტკაველი.



რალა მომკლავდა

„როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“,
 შენს ღიმილს მხოლოდ მაშინ ვნახულობ...
 გაზაფხულია, ყვავილთა თავსხმა,
 და მაინც დავრჩი უგაზაფხულოდ.
 ვკვდებოდი ისიც ვერ იგუმანე,
 გართულმა უცხო კერპთა დევნაში,
 როცა ამღვრეულ ცხენისწყალს სვამდი
 წინ გედგა უწმინდესი ზედაშე.
 არ მერქვა შენი ნაკლული ნეკნი,
 არა გტკიოდი, ვერც კი მამჩნევდი,
 როცა ისმენდი უნიჭო ზღაპრებს,
 მე მაშინ გყავდი გადასარჩენი.
 ახლა როდესაც ყვავილთა წარღვნა,
 მიმშვიდებს ცივ გულს, სახლს და კიდობანს,
 ველარ მათბობენ ცხელი ცრემლები
 ქრიზანთემებიც ცოცხალს მინდოდა.
 და ღმუის ქარი ვიშით და კვნესით
 უხმო ტკივილიც წვიმად როკავდა,
 შარშან რომ გეთქვა ჩემთვის ეგ ლექსი,
 რალა მომკლავდა!..



მე უშენობა მპირდება ზესკნელს

მე უშენობა მპირდება ზესკნელს,
 დღეს აღსარება ვუთხარ მაცხოვარს,
 ჩემი ცრემლებით გაავდრდა ზეცა,
 ცას სინანულმა დამაახლოვა.

სატანის კუთვნილ სოფელში ვცხოვრობ,
 ვის გავაკვირვებ უღმობელ ცოდვით,
 დემონს რომ შენი თვალები ჰქონდა
 მე რა ვიცოდით?

არ გავაღმერთებ აპრილის სუნთქვას,
 წამიღებს ქარი მსუბუქ ზვირთებით
 აღარ ვიკითხავ ცისკრის ღიმილით,
 ლაჟვარდის ასულს რას ეკითხები.

არც ოცნებებში შევევჯიბრები
 არც მზექალას და აღარც სამძივარს,
 დაალაზანთა დღეს ჩემი გული
 და ჩემი ურვით მინაც დამძიმდა.

მე უშენობა დამპირდა ზესკნელს,
 სად სინმინდე და სინათლე თოვდა,
 ვერ შეველიე დამღუპველ დემონს,
 რომელსაც შენი თვალები ჰქონდა.



და ახლაც უფლის სამსჯავროს ველი,
 თუმც ღმერთმა იცის — რადგან ღმერთია,
 თვითონ ზესკნელიც უშენოდ ჩემთვის
 ბნელეთზე ბნელი ჯოჯოხეთია...

მე უშენობა მპირდება ზესკნელს.



მერნმუნე ღავით!

ჩემს ვაჟს — ღავით თურქიაშივლს

არც მე დამიტევს ეს სოფელი, მეც მოვწყინდები,
და პაპის ანდერძს გწამდეს შვილო, არაფრით შევცვლი
ვერ დაგიტოვე საოცნებო ციხე-დარბაზი
ღიბა-ატლასის სამოსელი, ვერც ოქრო-ვერცხლი.

ნურც შენ იტვირთებ ამქვეყნიურ დიდების წყურვილს,
უჩინარ სიკვდილს ვემალეებით რადგანაც ვერსად,
ჰე, კაენ, როგორ უარყავი უფალის შიში
ძმის შესამუსრად ცოდვის მახვილს როგორა ლესავ.

ადამის ტომთა წყევლად გვექცა კაენის ცოდვა,
და დავივინყეთ შემოქმედის კრძალვა და შიში,
ბავშვი ხარ, მაგრამ ხარბი თვალთ ძმისკენ მიხედვას
მოყვასის ბედის მონატრებას სასტიკად გიშლი.

თუკი უარგყვეს, გაასხვისეს თუ შენზე ზრუნვა
და ის ბავშვი ხარ, აკვანში რომ დატოვა მამამ,
არ დამიღონდე და დარჩები შენც განუსჯელი
ვიცი, რომ ტკივილს ცრემლნარევი ღიმილით მალავ.

ალალ-მართალი კაცის სახელს თუ უძღვნი შვილებს,
მე ეს სიმდიდრე საუნჯეთა მიჯობს ქარავანს,
მდიდარიცა და ბედნიერიც შენით ვარ შვილო,
ბედნიერი ვარ, თუმცა ამსოფლად უკვე არა ვარ.



არც შენ დაგიტევეს ეს სოფელი, შენც მოსწყინდები
 მოვა სიკვდილი შეედრება ქურდსა და მპარავს,
 მინდა გჯეროდეს, რომ სიკეთე არ ინავლება
 და მისი არსი ბოროტისგან რომ დაგიფარავს.

ნუ დაგაჩოქებს ნურავისი სახელ-დიდება
 და თუ მიგანდეს ბობოქარ ზღვას უნიჩხო ნავით,
 სიყვარულისგან დამარცხდება ყველა სტიქია
 მერწმუნე დავით, მერწმუნე, დავით!..



* * *

ახალწლის ღამეს ჩემს სოფელშიც მოვიდა თოვლი,
გადაათეთრა მოლოდინით დაღლილი დილა,
მე თითქოს ჩემი ბავშვობიდან მეორედ მოველ
და ყველა ეზო უხმაურო — ჩემივით მტკივა.

თითქოს პაპაჩემს აუხდია სარქველი ქვევრის,
ბებია თონეს ანელებს და ცხელ პურებს მანვდის,
მეზობლის გოგო თვალხატულა დამფრთხალი შველი,
მაგონებს მისი დიდებების მინავლულ წარსულს.

პაპისეულ თოფს ხელს არავინ არ ჰკიდებს, რადგან
სულ სხვა სამყაროს შეხიზვნიან მათი შვილები,
და ყველა ეზოს დასდებია ურდული მძიმედ
როგორც ნანამებ ყრმას მტრისაგან ხელბორკილები.

შენც ამ სურათის მოგონება გახდები ხვალე,
ბინდისფერ ფიქრთა უხმო გრაგნილს ვერავის ვუმხელ,
და როგორც ჩემი წინაპრების საფლავის ლოდებს,
მივჩერებივარ მეზობელთა უკვამლო ბუხრებს.



* * *

არავინ აღარ მგონია
ჩემი ტკივილის მომრევი
დამემხო რწმენის ტაძარი
გადიდდა ცოდვის მორევი.

ვიტვირთე ურვის სიმძიმე
საზიდი კუბოს კარამდი,
„შენ ჩემო დიდო იმედო“
რა მალე დაჰატარავდი.



თამარ!

თათია კობრეშვილს

„დედოფლის თითზე რიყის კენჭიც აღმასად ბრწყინავს“,
და შენს თვალეშიც ღვთაებრივი ცეცხლი ანთია,
ხან თამარი ხარ დედოფლური კდემით და რიდით,
ხან ჭირვეული სეფექალი მხოლოდ თათია.

შეხვალ ტაძრად და უმანკო სულს —

ვითარცა სრულქმნილს,

შემოგცქერიან ფრესკები და წმინდა ხატები,
ბავშვი ხარ ახლა, ანგელოსთა დასებს ამშვენებ,
გაიზრდები და ლერწამქალნულთ შეემატები.

მერე მრავალი თამარივით მოგეკრძალება

ტრფობას უთვალავს შემოგწირავს ვიცი მრავალი,
კურთხეულ იყოს დავითის და თამარის მოდგმა

კურთხეულ იყოს ანმყო შენი და მომავალი.

„შორია თამარ“, დღეს მიმწუხრი მენამულს ერთვის

ივერიის ცას, ცად ასული ლოცვა სჭირდება,

მამულის მერმისს შეავედრებ ყინწვისს და ხერთვისს

და დიდებულად მზეი კვლავაც ამობრწყინდება.



* * *

აღარ მომიწევს წარსულთან შეყრა
 აღარც შენი ხმით განკითხვა ბედის
 ყველა სანთელი ჩამიქრე ერთად —
 ხსნა, მოლოდინი, ფიქრი, იმედი.
 შენდობას ჩემგან ამაოდ ითხოვ
 რადგან არ ვგავარ სათნოს, სახიერს,
 მთელი სიცოცხლე რასაც ვხატავდი
 არ დაინდე და ცეცხლში გახვიე.
 ვიცი დალუპვა მომელის ამლამ
 და მაინც ველტვი ღამეს მთვარიანს,
 დაგეძებ ყველგან, არა ხარ არსად,
 და არაფერიც არ მიხარია.
 აღარ მომიწევს წარსულთან შეყრა
 აღარც შენი ხმით განკითხვა ბედის,
 ვუახლოვდები მკვდართა მზის ციალს
 და სინანულის ზღვასთან მივედი.
 წამით მაინც თუ შეგავლენ მზერას
 და დავეცემი სალი კლდის ქიმზე,
 განწირული ხმით იმღერებს გედი
 სიცოცხლის ქებას იტყვის პირიმზე.
 გაფითრებულან მთის მწვერვალები,
 მიახლოებას სულნი ელიან,
 მშვენიერია არყოფნის ღამე,
 გარდასვლის სევდაც მშვენიერია.



* * *

— „რაღაც მენყინა შენგან შროშანავ“,
— რად მოგიშალეს ბუდე მერცხალო
ჩემი თვალები თუმცა გლოცავდა
მზადა ვარ გზიდან ჩამოგეცალო.
ქარი აშარი ავი ჩურჩულით,
ჩემზე ათასგვარ ჭორებს როშავდა,
დაგმანე გულის ყველა კუნჭული,
და მზიანი დღეც ღამედ მოშავდა.
არ გასაყვედურობ, არაფერს გეტყვი,
არ ვეპუები ზათქს და ქარიშხლებს,
და თუმცა გული უცნაურ მტკივა
ქვად მაქციე და ცრემლიც გამიშრე.

რაღაც მენყინა შენგან შროშანავ!



* * *

ნეტავი რატომ მივჩერებივარ საათს
 არაფრისმთქმელად რომ ატრიალებს ისრებს,
 ცრუ დაპირებებს და აუხდენელ ზღაპრებს
 დღეიდან უკვე ათასმეერთედ ვისმენ.
 მორჩა, გათავდა ლოდინის ბოლო წამი
 არაფერს არ ვთხოვ ხავსით დაფარულ ლოდინს.
 გაუსაძლისად დაცარიელდა ღამე,
 და ჩემს საშველად იმედიც აღარ მოდის.
 გულდაისრული მივჩერებივარ ისრებს,
 თითქოს შემიცვლის რამეს ნუთების სრბოლა,
 აღარც ოცნებით გათეთრებული ღამე,
 არც გაზაფხული — ტყემლის ყვავილთა თოვა.
 არსაიდან ხმა — არცერთი ნვეთი მწყურვალს
 სანუთრო თურმე სულ სხვების ვალებს მართმევს,
 ღონემიხდილი ვხატავ ბოლო დღის სუნთქვას,
 არწივი აფრენს თავის ბუდიდან მართვეს
 და ეს სურათი კვლავ მათმენინებს ამ თვეს,
 თურმე სიცოცხლე ცოტა ხანს კიდევ გმართებს.
 გედის სიმღერამ მინდა დაღადროს ყელი,
 რადგან სიცოცხლე გახდა სიკვდილზე ძნელი.



პოეტი პოეტს სტრიქონს უქირდავს

პოეტი პოეტს სტრიქონს უქირდავს,
რითმის სიკოჭლით უწუნებს სათქმელს
და მოსაწყენი ბინდისფრით უცვლის
სიცოცხლის მბჟუტავ კვარსა თუ სანთელს.

ვერცხლად მოსარკულ მდინარის პირას,
ნამნაპკურები ჩამოჰგავს ნარცისს,
თუმცა არავინ ახსენებს არცერთს
არც ეს სჭირდება არავის — არც ის.

და მაინც სტკივა „უფეხო რემბოს“,
სიტყვით მოცელილს მართლა კოჭლივით
ცად აზიდული ქვისქვეშ რომ გმინავს
ხეკორძულელის მკლავი მოჭრილი.



დღევანდელი ქრონიკა

ორმოც თეთრად მოსყიდული ძილი
 სიმშვიდეში „სომნოლების“ ჩარევა,
 სიყვარული — აკრძალული ხილი,
 აკრძალვები — სასაფლაოს არენა.

გარეთ ხვატი, დაბურული სუნთქვა,
 ფეხაკრეფით მოცელილი ბალახი
 უბრად მყოფი ჯიუტი და გულქვა,
 ღირსებაზე მოცხებული ტალახი...

უარყოფის მომნუსხველი ტკივილით,
 ლუციფერთან შერკინება მსურდა,
 უკანასკნელ კაპიკებად ღიმილი
 უკანარდაბრუნებული ხურდა.



* * *

გადაუშლელი ნიგნი ვარ
ძველი მტვერნაყრილ კარადის,
მთელი სიცოცხლე შენს სახელს
მოვერცხლილ ყდის ქვეშ ვმალავდი.

დაგელოდე და ვერ გნახე
სიყრმიდან კუბოს კარამდი,
შენზე ფიქრს, შენსკენ სავალ გზას
სუყველა შედევრს ვპარავდი.

ხან რითმას გისაკუთრებდი
ხან გულისცემას გულისას,
მინდოდა გეგრძნო სურნელი
სხივნათელ გაზაფხულისა.

სანამ ფურცლებად დამხევენ
ხელგაქონილი კაცები,
ბუხარში ავგიზგიზდები,
ან ფერფლად დავინაცრები.

ერთი დღე მაინც მიკითხე,
ცისკრამდე ერთი საღამო,
რად გინდა შენი ლოდინით
დამშანთო, ამომალამო.



სანამ მთლად გაცამტვერდება
 სურნელი ხილულ ედემის
 სანამ მთლად გაპირქუშდები,
 სანამ მთლად დამიბერდები.

სანამ სამზეოს არ გაგვყრის
 შესანდობარი თამადის,
 ისმინე ჩემი სათქმელი,
 მიცანი — გამითამამდი!..



ბავშვობის დღიურიდან

ყავის ფსკერზე დალექილი წარსული
ზღვის ნაპირთან მოცურავე ნავი და
ყავის ცხენით სიყვარული მოვიდა
ფინჯნის ფსკერზე დამტოვა და წავიდა.

ყავის ნახატს დღესაც ისე დავეყურებ
თითქოს შენს სულს და სიხარულს ვეხები,
დღესაც ისევ იზზარება ფანჯრები
იკანრება სკამები და მერხები.

ყავის წვეთში დანალმული განდობა
თეკას პლიუს აჩიკო თუ ალეკო,
არ იციან, არ იციან დანდობა,
მზად არიან ზღვის ზვირთებად წამლეკონ.

არ მიმიშვან სიბრძნის მძიმე ჯვებრთან
სევდას მინუს სიხარულის თოვლი და
გაზაფხული როგორ მალე წავიდა და
შემოდგომა რა უეცრად მოვიდა.

მე მიყვარხარ დაბადების წამიდან
შენ კი, თურმე, ამომშანთე ხსოვნიდან.



ვასუპტი კოტივივილს

მე შენი ცეცხლით ვეზიარე რილკეს, ხაიამს,
 ჰაფეზს, ფირდოუსს, ანსარეს და ნიზამი განჯელს,
 ჰეი, მუტრიბნო, მოემზადეთ მზის შესახვედრად,
 ლექსის ქურუმთან დაჩოქება და ლოცვა მმართველს.

ფშავ-ხევსურეთში ისმის ფარის და ხმლის ჟღარუნი,
 ფიცვერცხლნაჭამი გდარაჯობენ მდუმარე მთები,
 მივფიცხებივარ შენი ლექსით ანთებულ ბუხარს,
 საადის მადლით და რუდაქის ნალვერდლით ვთბები.

სასაფლაოზე ლექად მომსკდარ სანთლებს ყვავილთა
 ვუნთებ შენს სახელს, იქ რომ არ ხარ, ვხედავ და ვამჩნევ
 შაშვის გალობას აუნთია ხომლი ვარსკვლავთა
 ესალბუნება სველთ თმებს ისევ სონეტის სარკე.

ჰეი, მუტრიბნო, თუ ამღერებთ აქვა მასე სხვეებს,
 ვახუშტის ჰანგი ერთ სალამოს მაინც მასესხეთ.



მზემოს

ქალი კი არა, გაზაფხული ხარ,
მზე ღიმილს მანვდის შენი თვალებით,
ფერთა გამა ხარ, შემოდგომა ხარ,
ამოუხსნელი იდუმალებით.

შენ უძერწავდი პოეტთა მოდგმას
პირთამდე სავსე გრძნობის ფიალებს
დაუშრეტ ცეცხლს რომ წაგიკიდებს და
„ველურ კოცონად“ აგაბრიალებს.

ზეცის ცარგვალზე ვარსკვლავად ჩანდი
ყველა მცხრალ მნათობს მტერობა ჰკადრე,
ქალი კი არა, ქალთა ქალი ხარ,
გაჩნდი ეშმაკზე — სამი დღით ადრე.



* * *

დაუნდობელი ზამთრის შემდეგ
 მოჰყევ გაზაფხულს პირველი დღიდან,
 თუმცა არ მახსოვს მზე ჩახჩახებდა
 თუ კოსმიური მუსიკა წვიმდა.

მას შემდეგ ველტვი მხოლოდ გაზაფხულს
 და მარტი ისევ ჯიუტად მარტოობს,
 როცა ჩემთან ხარ გნატრობ მაშინაც,
 როცა ვერ გხედავ, მაშინაც გნატრობ.

მიჰფიცებოდი ალუბლის ყვავილს
 ჰკოცნიდი ვნებით ალენილ შინდებს
 და გაზაფხულის თბილი წვიმები
 სხივნათელ დღეებს ხსოვნიდან შლიდნენ.



არ მინდა მიყვარდეს

ჩემი ბედისწერის „ანი და ჰოე“ შენთან არს უფალო,
 მხოლოდ შენ გმორჩილებ,
 გვედრებ რომ სატანის აყოლილ გულისთქმას
 ნუ დამამორჩილებ,
 გამძარცვე ნუხილით და ჩემი ფიქრები წაიღოს არაგვმა,
 ნულარ გამახსენებ, ვისი გახსენების უფლებაც არა მაქვს.
 არ მინდა უფალო შენი ღალატი და დემონის მონება,
 დღეს კი მის ხელთ არის ჩემი ოცნებები გული და გონება.
 მუხლმოყრით გავედრებ ტკივილს განმარიდო
 წმინდაო მაცხოვარო,
 ვისკენაც მივიღტვი აღარ შემახვედრო,
 მას აღარ ვახსოვარ.
 არ მინდა ჩემი გზა ზეალსვლა მეგონოს
 და მაცდურს მიჰყავდეს,
 არ მინდა მიყვარდეს,
 არ მინდა მიყვარდეს,
 არ მინდა მიყვარდეს
 უკეთუ ვერ ვარჩევ ღვთიურ სანთელს და
 მაცდურის საქციელს,
 მიწით შეგიქმნივარ
 ჰქმენი სიკეთე და მიწადვე მაქციე,
 ჩემი ბედისწერის „ანი“ და „ჰოე“ შენთან არს უფალო,
 მხოლოდ შენ გმორჩილებ,
 იქმენ ნათელი და ბინდისფერ სურვილებს
 ნუ დამამორჩილებ...



* * *

ნუ დამპირდები...
 მოლოდინის იდუმალეზა
 დამჭკნარ ფოთლების ქარცემული დარდით მერევა,
 მე მირჩევნია მარტოსული ვიყო ამქვეყნად
 არ მიზიდავდეს მოგონილი ბედნიერება.
 არ მინდა ყალბი ოცნებები — ბოშას მძივები,
 შემოვიხვიო ყალბი სიტყვით, ყალბი მანერით
 მინდა იცოდე არაფერი არ მინდა შენგან
 არც ძრწოლა, ბრძოლა სიყვარული ღიმილნარევი.
 არც ერთი ზარი არ მინდა შენგან,
 რადგან მზარავს ზარის ლოდინი,
 რომელიც უკვე აღარ რეკავს ჩემთვის იმედად,
 ამიტომ უკვე აღარსადაც აღარ მოგძებნი
 ამიტომ მინდა სხვა კუნძულზე განაპირება...



* * *

ჩემგანვე შეთხზულ ზღაპრებს გიჯერებ
ყველას სიყვარულს ვარქმევ სახელად,
ღმერთო, ნუ შემყრი უფსკერო მორევს
შემადღებინე უკანდახევა.

* * *

სიცოცხლეს სტაცებ უნათლეს ნამებს
დღესასწაულად გექცა ცხოვრება
თუმც არც შენი ხმა, არც შენი სახე
ხვალ აღარავის ემახსოვრება.

* * *

თმოგვის ციხესთან მეც შევხვდი ცისკარს,
სულს მინენავ და ცეცხლის კაფია,
ლექსია ჩემი სიცოცხლის წიგნი,
საფლავის ქვა და ეპიტაფია.



ნეტა რა შესცოდა სიცოცხლემ

(ფიქრები ფიროსმანზე)

ჭიქა არაყზე გაცვლილ ნახატებით — აშენდნენ ჩარჩები,
 მაგრამ შენ უკვდავი გენია იყავ და გენიად დარჩები,
 გული ბედს მიანდე და მთელი სიმდიდრე აქციე ვარდებად,
 — ნეტა ფრანგ აქტრისას

ლარიბი მხატვარი თუ შეუყვარდება?

მზე იცრემლება, ნიკალა ირემს ხატავს და
 ორთაჭალის ტურფას,
 რომ ხვალ ორშაურად შეაჩეჩოს ხელში სულთამხუთავს
 და ხეირი ანახოს,
 თარის ხმა ნელდება, მზე იღვრება შავ მუშამბაზე და
 ნიკალა ეთხოვება სამზეოს და სწორედ მაშინ
 იწყება სიცოცხლე დიდი მხატვრის
 ნიკო ფიროსმანაშვილისა,
 მანამდე კი აბრების მხატვარი მედუქნე იყო,
 ერთი კარგი ზნე სჭირს დალოცვილ სიკვდილს,
 კუთვნილ ადგილს მიუჩენს ყველას,
 ნეტა რა შესცოდა სიცოცხლემ?



ბნელი წარვალს!

*მეგობარ პოეტს — ნუგზარ ჩიკვაიძეს
(ახლა უკვე მამა ილიას)*

„მამავ ტყვიადახლულო, ეგ მკვლელობა მაპატიე...“
ნუგზარ ჩიკვაიძე

საქართველოს ლექსის ლოთებს
გაგვეშალა სუფრა მტკვარზე,
ვინც ალალი სტრიქონი თქვა,
ყველა შენს ლექსს მივამსგავსე.

სიყვარულის ნვიმა ნვიმდა,
ცას ჰკვეთავდა ცეცხლის ხელი,
ათაბაგის ქალიც ვნახეთ,
მზის მაყარი, წერეთელიც.

მოვიარეთ ანანური,
დავუყევით დაღმა მცხეთას,
ვხატეთ ქართლის სანახები
ვნერეთ „ნიგნი მონამეთა“.

მამადავითს მივადგები
ვიგრძნობ გოგლას სიტყვის ძალას,
ცისკრის ვარსკვლავს დავულოცავ
მეტეხსა და ნარიყალას.



შენი წიგნი სხივნათელი
 საუკუნის საგზლად დამაქვს,
 მივალ ვეტყვი გალაკტიონს
 გაგახარებ სიტყვამრავალს.

ვაჟას საფლავს დავუწოქებ
 მერე ისევ წავალთ მტკვარზე
 რომ დავლოცოთ პოეზიის
 უსასრულო სილამაზე.

ცა ისეა ანთებული,
 ლექსის ცეცხლის გაჩაღებით
 ტიცციანსაც დაინდობდნენ
 სისხლისმსმელი ყაჩაღები...

წინამურთან რომ იგლოვდი
 ტყვიადახლილ ერის მამას
 იმ წუთიდან ვინამე რომ
 ბნელი წარვალს! ბნელი წარვალს!



* * *

შენი ბალის ჩრდილში ნახარებ „ყოილთა“
ნეტა მერამდენე ფერი ვარ,
ბედისწერის წიგნის გაცრეცილ ფურცელზე
სადმე თუ მკრთალად მაინც ვწერივარ?

თუმცა მეც ვეტრფოდი შორეულ მწვერვალებს,
შენ რომ მიელტვოდი უცხო გახელებით
და დღესაც პატარა ბავშვივით მახარებს
ერთურთს რომ ემთხვევა ჩვენი სახელები.



სიკლიდან - შუაჟის ჩემნებანი

შუაფხოს ღამე

გნახე ხატობას, სანთლად გენტო შუაფხოს ღამე,
 სად მინიერი ოცნებები ზეცას ერთვიან
 მოგისმინე და დავიჯერე შენი ნათქვამი,
 რომ ფშავში ყველა მინიერი მამალმერთია.
 სიმღერას შენსას ყურს უგდებენ მდუმარე მთები,
 ხმაში გიელავს გაზაფხულის კამკამა დილა,
 წინწანაქარიც დავლიეთ და ვადიდეთ ღმერთი
 და ახლა შენით მონუსხული ჩემი გზით მივალ.
 ყველა ხევსური რომ დანტეა და ორფეოსი,
 ვიჯერებ როცა შენგან ნამღერ სიმღერას ვისმენ,
 არ მინდა დავთმო საოცარი წყალ-ჭალა შენი,
 გტოვებ იმ რწმენით, რომ უთუოდ ვიხილავ ისევ,
 შენი ხმა ახლაც თეთრახევას ტალღებად ღელავს
 მწამხართ ცოცხლებიც, ქვად ქცეული ლანდთა სულელებიც,
 ვაჟას კალამით დახატულნი მიყვარხართ ყველა
 აბჯრიანი და უაბჯარო ფშავ-ხევსურები.
 შუაფხოს ღამე, საოცარი შუაფხოს ღამე
 შენ დამიფარე ფშავის მცველო ადგილის დედავ.
 უხდები მთას და ცასთანა ხარ ძალიან ახლო
 მე შენ გისმენ და აღარ მტკივა სანუთროს სევდა.



ძნელია ულექსოდ სიცოცხლე

ხევსურეთს აყრილან ნისლები
საფშავლოს ზეცისკენ მიდიან
ირგვლივ ხავსიანი ლოდები
სულში კი მუქლურჯი ბინდია.

ლამე ზამბახებად იღვრება
გვირილა აანთებს ალიონს,
ლაშარს სალოცავად მოსულა
თურმე თამარ დედოფალიო.

უფლისნულ არ ესვა მზეთამზეს
ვაჟი აჩუქაო ლაშარმა,
თავის სამლოცველოდ აქცია
ეს ხატი გიორგი-ლაშამა.

მიყვება ჩემ პაპა ლეგენდას
ფხოველთ სალოცავში გაგონილს,
ფშავლები მასმევენ საკარგყმოს
დავლოცეთ კაი ყმის მამგონიც.

კესანე, მთის მორცხვი ყვავილი
თამარის ზემხედი თვალები,
მოყვასი, ჯიში და გვარ-ტომი,
თავნება ფშაველი ქალები...



შურთხი გათენებას ზეიმობს
 ცისკარმა აანთო ცარგვალი
 ლაშარს სალოცავად მოვიდა
 შუაფხო, ამლა და ჩარგალი.

ლუდის სმა, შემთვრალთა სიცილი,
 ფშაური კაფიის აღმური,
 ერთურთის დახანჯვლა თვალებით
 ჭორების დაქსელვა ქალური.

ხევსურეთს აყრილი ნისლები
 ისევ ლაშარობას ელიან,
 ძნელია ულექსოდ სიცოცხლე
 ულექსოდ სიკვდილიც ძნელია.



* * *

„ან შენი ძმა მქნა მონილე, აროდეს გაგეყრებოდი“

სამუკათ ხვარამზე

მიჯნურის ცეცხლი არა მწვავს,
 გულს სხვა სახმილი მინთია,
 რით მჯობს სამუკათ ხვარამზე
 ჩემზე ლამაზი რითია?
 უნდა გულს ჯავრად ჩაგერჭოს
 მანდაურობა სნადია,
 მეც ვილტვი შენი გულისკენ
 სამ-ოთხი წელიწადია.
 „ან შენი ძმა მქნა მონილე“
 გაგეყრებოდი აროდეს
 კელაპტრად აგენტებოდი,
 ხახმატის ჯვარი გწყალობდეს!
 მაგრამ ეგ შენი სწორფერი
 ლეგენდაა და მითია,
 ვინ არის ნეტა ხვარამზე,
 ჩემზე ლამაზი რითია?
 წარსულის ლანდებს აღმერთებ
 ცოცხალთა უარმყოფელო
 თვალწინ გყევარ და ვერ მამჩნევ
 ვაი, თემო და სოფელო.



„იასარ მეძახის“

ინყება ხატობა, იასარ მეძახის
დედოზარს რეკავენ სალოცავნ მთებისა
აღარ მომელიან ცისფერი თვალები
სხვისი ლოდინით რომ წუხილმა შენისლა.

მანც ვერ ვღალატობ უჩინარ გულისთქმას
დახრამულ მთა-ხევებს მოვივლი უშენოდ,
იქნება ჩემი გზის დაწყევლილ გარიჟრაჟს
მთათა საუფლოში ლოცვებმა უშველოს.

ლომისფერ ვაჟკაცებს ძმად შევეფიცები
ხანჯლებს იმარჯვებენ ვერცხლი რომ ჩათალონ,
ოღონდ აქ მფარავდეს ცა ვარსკვლავიანი
და სხვაგან თუ გინდა ცოცხლად არც ჩამთვალონ.

ვეფხვისა და მოყმის სამსჯავროც მთა არი,
მტერთაცა ლოცავენ ზეკაცთა დედანი,
ყოველი ცხენი აქ ფრთამალი რაშია,
მითოსის გამირია ყოველი მხედარი.

ინყება ხატობა, დედოზარს რეკავენ
არა მნამს სხვა მზე და სხვა თავდავინყება
ზეცისკენ მიმავალ ბილიკებს მივყვები
„იქ, სადაც გაზაფხული ივლისში ინყება“.



კვლავ გამითენე ათენგენობა

რად დამიშრიტე ყველა სანთელი,
რად დამემდურე ქარის ტირილზე
ისევ მეძახის ჩემი არხოტი
ჩემი დეკა და ჩემი პირიმზე.

კესანეები იებს ეძებენ
ლურჯი თვალეები — თაფლისფერ თვალეებს,
არხოტი სწორფერს გულში იხუტებს
და ფერმკრთალდება ვნებისგან მთვარე.

შატილის ცა კი — მუქლურჯთვალეება
კვლავ უნაპირო დარდით ივსება
მე ხევსურეთის ნისლებში დამრჩა
წუთად ქცეული მარადისობა.

და ჰა, გათენდა, განათდა მწუხრი
გაცისკრდა ზეცა, ჯვაროიცი ხახმატის,
მზის შუქი ნეტა რად მჭირდებოდა,
შენ თუ ვერასდროს ველარ გნახავდი.

„თუმც ჩემად აღარ მეიმედები“
აღარც შენ გეთქმის უკვე ჩემობა,
წმინდავ ძლიერო, იქმენ ნათელი
კვლავ გამითენე ათენგენობა!..



* * *

რომელ ქვას ამამაფარებ,
 სად გადამმაღავ ხვალიდან,
 ცეცხლი ვარ დაუშრეტელი,
 დაულეველი ნყალი ვარ.
 შენს მამა-პაპათ რომ მართებს
 სწორედ იმათი ვალი ვარ,
 ხმალი ვარ, მუხთალ სოფლისა
 მადლი ვარ, ცოდვა-ბრალი ვარ,
 ნიავს სწორფერი ვგონივარ
 არადა, ქარიშხალი ვარ!



მშვიდობით ქალავ!

„მშვიდობით ქალავ, დე, არხოტს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი“
ოცნებებილა შემოგინახავს
აღარას მეტყვი სხვის გულისწორი.
ლექს ნისლს ვუტოვებ ისე გშორდები,
და ბოლმა გულზე მანევს სიმძიმედ,
აღარ მიყვარხარ, აღარ მოგელი,
აღარც მღვიძავს და ველარც ვიძინებ.
გულს სატევარად ლახვრად მესობა
შატილის ცაზე ლურჯი თვალები,
სულ მალე ვიცი დამავინყდები,
სულ მალე ვიცი, არ მეყვარები.
მშვიდობით ქალავ, არ მოგწერ წერილს,
მთის ყვავილთ ცრემლით აღარ მოვცელი
სხვა იყოს შენი ურვის მაყარი,
სხვა იყოს შენი ტაძრის მლოცველი.
მშვიდობით ქალავ, დე, არხოტს დარჩეს
სხივი სევდას რომ სინათლით ჰქარგავს,
მშვიდობით ქალავ, აღარ მოგძებნი,
სადლა ვიპოვი, რაც დამიკარგავს.
ახლა კი ცრემლებს ძლივსლა ვიოკებ,
გულში ჩატეხილ სატევარს ვმალავ,
აღარ გაკოცებ, აღარცსად გეძებ,
მშვიდობით ქალავ, მშვიდობით ქალავ!



* * *

დავტოვე ფშავის მთები და
სულ სხვა ბილიკით წავედი,
თუკი შენ მოგიკვდებოდი,
არც სიკვდილს არ ვინანებდი.

გეტყოდნენ ურვის სამძიმარს
ფშავლის ლამაზი ქალები,
მეორ-მესამე დღესავე
თვალს მათკენ გააპარებდი.

იკმარდი გლოვა-ტკივილსა
გაიხსნილებდი შავებით,
ყველაფერს გაპატიებდი,
რასაც კი დააშავებდი.

ლოცვებით სინანულისა
იაღსარის კარს აველი —
ახლა თავის გზით ატარე,
ერთი თავნება ფშაველი!



* * *

(უცნობი მოლექსეს დღიურიდან)

ქალის ალერსი მეგონე
რა გითხარ დილის ნიავო,
ეხლა არ მითხრა საქმე მაქვს
და შენთვის არ მცალიანო.
ნადი, ჩემს მიჯნურს უთხარი
გულს სევდა მანვეს ლოდივით,
ხო იცი, რა რიგ ძნელია
ნანლის მახე და ლოდინი,
შაცერებული ბალიში
უქალოდ კაცის ლოგინი.



* * *

სანუთროვ სიზმარს მიგანდე
 დამლალა დღისა დამლამო,
 დღეო რას მედიდგულეზი,
 გესლო, შხამო და ბალდამო.

ათი წლის დაკარგულ სწორფერს,
 სიზმრად ველოდი ამლამო,
 ზოგს საუკუნოდ ახარებ
 ჩემთვის შაგშურდა სალამო.



* * *

თავი მზექალი მეგონა
მამულნ რო გაჰყო თაყამა,
მოცელა ჩემი ყვავილი
თვალეებში შემომაცარა.
მტრედივით მოლულუნენიპც,
აყრანტალა და აყვავა
ამას კი არ დამაჯერა,
ჯვარნანერ ქმარსაც გამყარა.
ეგრე არ არის თაყაო
ჩამამიბნელო სამყარო,
დამიდგეს ორივე თვალი
წყალს თუ ტყუილად ვნაყავო.
მანამ ვერ მამდრეკ სიკვდილო,
ასჯერ ნელშიც რომ მამხარო,
სანამ არ გამიბრწყინდები,
მთვარევე პირბადრო, ახალო.
იდუმალი ხმა მეძახის
სიყვარულს კვლავაც ნახავო.



* * *

„თამაობს წითელკაბაი
რაკი არ შაუხდებაო“
ჩემს ქმარს სულ გადაავიწყა
ქალი, რძალი და დედაო.
ცოლ-შვილი აიკვირადლა
სიკეთეს ვერსად ვხედავო,
სულს ათჯერ დამკრა მათრახი
ათჯერვე ზედიზედაო.
ხან გული ამიჩქამდება
ხან წყევლა-კრულვას ვბედავო,
ხან ფიქრი მამიგერიებს:
— დაღლის სხვათა კარს გდებაო.
მოძვრება ციცასავითა:
— გვერდს მყავდე დამრთე ნებაო,
ახლა მე გავდიდგულდები
ვერ გამჩნევ, ვერ თუ ვხედავო.
ქორწილს მასდევენ მაყრები,
ტოშიო სადამ ტყვრებაო,
თამაშობს წითელკაბაო,
რაკი არ შაუხდებაო.
მთელს ქორწილს გადაავიწყა
პატარძალი და ნეფეო,
სულ წითელკაბას ბრალია
რაც ლექსად დავიყეფეო.



* * *

მაცილმა კრულვა-დაცინვით
მარცხით მიმარჯვა მარჯვენა,
და ჩემი საფლავის მთხრელი
ერთგულ მეგობრად მაჩვენა.
ვერ მოესწრები მაცილო
ჩემს ბილიკს ჩამომაცილო
იქნებ არ იცი რა მქვია
ვისი მაქვს ზნე და ბუნება,
ან რატომ ვილტვი ამდენ ხანს
ედემში დასაბრუნებლად.
გზააბნეული მგზავრი ვარ
შენს ნახვას ისევ მოველი,
„სჩანს არ ყოველი ნაშლილა
არც არავის მიაქვს ყოველი“.



* * *

დამლანდე, განზე გასდექი
 ფრთას შლიდა ლამის ნიავი,
 რა ვიცოდი თუ მშვიდ დღეებს
 შესცვლიდი ჟამთა სიავით.
 დაჭრილი ირმის ბლავილით
 შენს მოსაძებნად წამოველ
 დარჩებიანო ქვიშანი
 წყალნი წავლენ და წამოვლენ.
 უკვდავების წყალს მასმევედი
 ანკარას, ოქროსქვიშიანს
 მანუგეშებდი დარჩები
 ქვიშა ხარ ნუ გეშინიან.
 შენი ღიმილიც წამართვეს
 მშვიდად, უტიფარ ლიქნებით
 გინდ ქვიშა ვიყო, გინდ თიხა,
 შენს გვერდით თუ ვერ ვიქნები.



წადი თუ წამავალი ხარ

„თუ ამალამაც არ მოხვალ
მინამ დაგიგოს ლოგინი“.

(ხალხური)

„რად ამკევე ყანას ცრემლითა
რად აღარა სთვლი თავისად,
ხვარამზეს ცეცხლად აენთე
თუ მინდოდაურთ ქალისა.

იქნებ ორივეს აჩვენე
სახმილი შენი ძალისა,
დაუდნე მოვის პერანგი
ცას სწვდება ცეცხლი აღისა.

ბაბალეა თუ ხვარამზე
რა გაიგება ქალისა,
დღეს ღვინოდ ქცევას ინატრებს
ხვალ ტბა გახდება შხამისა.

თუ ერთხელ მაინც შეგატყო
სხვაზედ შავლება თვალისა,
არას დაგიდევს ეს ქალი,
მზექალაა თუ მთვარისა!



ნადი თუ წამავალი ხარ,
 თუმცა მეც ცრემლნი მდიანო,
 მიწის ლოგინი რად გინდა
 სახლში არ დაიგვიანო.

მას უთხარ ჩემთვის სათქმელი
 შვილების დედა ჰქვიანო
 არ მოგწვედეს წყევლა ცოლისა
 ზარი არ აახმიანო.

არ დაგიტირონ ქალ-რძალთა
 სად მიხვალ მოკლეგზიანო,
 ნადი თუ წამავალი ხარ,
 ღამე არ გამიმზიანო!



* * *

სამსხვერპლო ცეცხლად აანთე
ჩემი ციხე და სახლ-კარი
წამართვი სხივი სანთელის
მოცელე ჩემი სამკალი.

როცა სიცოცხლე მომინდა
სწორედ იმ წუთში მამკალი
მერე კი ურცხვად მიწოდე
„ყვავის დავარდნილ კაკალი“.

* * *

სიკვდილმა ჩამაიარა
გადახდა მთხოვა ვალისა,
დავჯექ სულ წვრილად ვუამბე
ჩემ ჯალაბთ ცოდვა-ბრალისა.
დღეს გადავრჩი და მადლი ღმერთს
„ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.



ნუ ახვალთ ცაბაურთ გორაზე

— ნუ ახვალთ ცაბაურთ გორაზე
 იქ ჩემმა ნატვრის ხემ იხარა,
 იქვე თავდახრილი ბალახობს
 ჩემი გულთმისანი წიქარა.

სალხინო სალამურს უკრავს
 და მამცნობს რომ ცოცხლებში სწერიხარ,
 არ მინდა ვიცოდდე ვისი ხარ
 მაგ ჰანგებს ან ვისთვის მღერიხარ.

და თუ დავიჯერე ზღაპარი,
 თუმც ზღაპრის ასაკში აღარ ვარ,
 სკივრი ბოროტების იქცევა,
 მზით გამთბარ სინათლის კარავად.

ბანგი მზაკვარისა გაივლის
 არწივი იმარჯვებს ყორანზე,
 სევდიან ფერებში ვერევი
 იდუმალ ცაბაურთ გორაზე.



ნუ გამანზილევ სიკვდილო

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო“
 მომნატრებიხარ ძალიან,
 თუ არ მახარებს სიცოცხლე
 აბა, რა შენი ბრალია.
 მეტ ჯვარს ვერ ვზიდავ იცოდე,
 და დაჩოქებაც ძნელია,
 გამომელია სინათლე
 ღიმილიც გამომელია.
 იუდა ყველას გვაშინებს,
 ოცდაათ ვერცხლის დაკარგვით,
 მიტომ მძულს წუთისოფელო
 შენი სამართლის ავ-კარგი.
 არც ზღვა მამშვიდებს, აღარც მთა
 არც კესანე და იელი,
 ნუ იგვიანებ სიკვდილო,
 ნუ გახდი გადამთიელი.
 ამიყვავილეთ საფლავი,
 თავდადრეკილნო იანო,
 ნუ გამანზილევ სიკვდილო,
 მოდი, არ დაიგვიანო!



ძალს მე, ძალს — წუთისოფელი

ცოცხლებზე მეტად მიყვარხარ,
 მგზავრო შავეთის გზისაო,
 მთვარემ ნათება დაკარგა
 მზემ, სხივოსნება მზისაო.
 სხვა რაღა ძალმიძს ბეჩავსა
 ჩავწვდი სიღრმესა ჭისაო,
 მეტი რა მმართვეს დამკარგავს
 მგლისმუხლას მხარ-ბეჭისაო.
 ძალს მე, ძალს წუთისოფელი,
 ცხვირიდან დენა ძმრისაო,
 დამშლელიც არავინა ჰყავს
 როგორც სურს ჰკერავს-ჭრისაო.
 ჩავლმუი გასათხრელ მიწას,
 სადაც აპირებ ძილსაო
 არც ძმა ხარ, აღარც ნაძმობი
 არც მამა ჩემი ძისაო.
 გპირდები ვერვინ შამიხსნას
 ღილები საკინძისაო,
 თუმცა საქვეყნოდ ვერ გიგლოვ
 ხათრ თუ შამამრჩა ქმრისაო.



ფუფალას როლი

„გათენებამდის ვნუხვარ ლიტერატურულ შხამით“
გალაკტიონი

ჩემს ორლობესთან ბერიქალა გამოჩნდა ქოლგით
 აქ გამოგონილ უფლისნულზე ზღაპრებს ჰყვებიან,
 ხელმწიფის ტოლ კაცს ვუყვარდიო — აჯერებს ქალებს,
 მეოცნებე და თავმომწონე მართა ბებია.

რა კაცი იყო, ნეტა ახლა რა მხარეს სახლობს,
 იტყვის ნინუცა წარბშეკრული ტკბილ-მწარე ჭორებს,
 ჩემს დედინაცვალს ჯოჯოხეთის დაშრეტავს ცეცხლი
 ასეთ ლამაზ ბიჭს ბოროტებმა რომ დამაშორეს.

არც მე ვიყავი უთვალო და უეშხო გოგო
 თუმც სილამაზეს წამიყარეს ფერფლი-ნახარი,
 გესლით, ჩურჩულით მამცნობს თინა — მეზობლის გოგო,
 მაშინაც ზუსტად ასლი იყო, ახლა რაც არის.

ვეხმატკბილები ჩემს ჭორიკნებს — სალომეს, ნუცას,
 სულ აურიეს ერთმანეთში ტყუილ-მართალი
 თქვენ გამიმრავლდით საყვარელო მეზღაპრეებო,
 უთქვენოდ უფრო გულჩათხრობით გადის ზამთარი.



ართავენ ფთილებს, წინდებს ქსოვენ
 ჭრელ-ჭრელ ჭორებით,
 და გარდასული სიყვარულის ამბებს ჰყვებიან,
 დამიდგეს თვალი, ათი წლის წინ ერთ წუთს რომ შევხვდი,
 მას შემდეგ მგონი სიზმრადაც არ მომჩვენებია.

ვერ დავიქადნი ვერასოდეს ჩემს სილამაზეს,
 ველარ შემამკობს გულისწორი ნანატრი ვერცხლით,
 და უღმობელი ბედისწერა წამეკიდება
 მარტოშთენილი, უთვისტომო ფუფალას ცეცხლით.

გამოგიგონებ, ვერ გიპოვე რადგან ვერასდროს
 შვილებს ვეტყვი რომ ალავარდნილს მანვდიდი ვარდებს,
 იასამანი კიბესთან რომ იღვრება ცრემლით
 ერთ ღამეს ჩუმად მოიპარე და ჩემთვის დარგე.

ძნელია მუდამ სიმართლე და ტკივილი გულის,
 ხანდახან ხსნაა უწყინარი ნანატრი ჭორი,
 და წუთისოფლის რეჟისორი ისე არ დამსჯის
 რომ ერთხელ მაინც არ მაღირსოს ფუფალას როლი!



ფატმან ხათუნი

ტიციანს თურმე ჰყვარებია ფატმან ხათუნი,
ელანდებოდა მისი სახე ხარბ თვალებს ღნელში,
და როგორც მითხრეს ყველა ქალში მას დაეძებდა
არ აშინებდა ზამთრის ყინვა, წარღვნა თუ თქეში.

ფატმანის სახე შეუნახავს მოვერცხლილ სარკეს,
სანუთროს ტვირთი ცდილობს ყველას გაუადვილოს,
არ შეუძლია გულანშაროს მშვენიერ ასულს,
უჭაშნაგროდ, უუსენოდ, უავთანდილოდ.

მაგრამ როდესაც შეუტყვია მიჯნურის მზერა,
სხვისკენ გაიქცა, სხვის გულსა და სხვის თვალს ევლება,
იხსნის ფატმანი ძველი ტრფობის ჯადოსნურ რიდეს,
მხსნელად, ნუგეშად ხალა სულ სხვას აედევნება,
მისთვის ერთია აკრძალული, ნებადართული
ვნების ცეცხლს მაინც არ ჩაიქრობს.



* * *

ხმაღს აფხავებენ ხევსურნი
 ცოდვის სამართაღს ლესავენ,
 ია დარდისგან გამქრალა,
 გუღს ვერ იბრუნებს კესანე.
 გაანირინეს ჭყალ-ჭალა
 ნაფერებ ედემ-ბაღებით,
 მიღის დანყევღიღ ცოღ-შვიღიღ,
 აბოჟირებულ ბაღღებით.
 აღარ სჭირღებათ აღუღა
 ცოდვიღთ გაიღსო შატიღი
 ნახანძრალ სახღ-კარს იყოფენ
 ქარ-წვიმა შატიღს დასტირის.
 ყორნები დაჰფარფატებენ
 მუცაღის მოჭრიღ მარჯვენას,
 არ ანებებენ სამსჯავროს
 ღმერთს არ აცდიან არჩევანს.
 „ვაი ეგეთა სამართაღს“
 კაი ყმის ბრბოში გაჩენას.



ვაჟას სამყაროში

„მთას ვიყავ მწვერვალზე ვიდექ“
ზესთასოფლის ხმა მესმოდა,
მიუვალი და სალი კლდე
კაცთა სატკივარს კვნესოდა.

ცად სუფრა იყო გაშლილი
ვაჟა ეკურთხათ თამადად
ლოცავდა მთელი ქვეყანა
„თავის ხატ-ღმერთიანადა“.

აქ იყო ბერი ლუხუმი,
ზეზვა და ლელა ბაჩლელი
ფხოველთ მოზარე სანათა
შვილი ვაჟკაცის გამჩენი.

ჰპოვა წამალი წყლულისა
გოგოთურს ეძმო აბშინა
მზის მოტრფიალე პირიმზე
უფსკრულის პირას გაშლილა.

ხატს კურატს სწირავს ალუდა
მუცალის სულის სალხენად,
ჯოყოლას სტუმარს არ უნდა
თავის სახელის გამხელა.



ალაზა სტუმარს მასპინძლობს
 „თმახშირი მთვარე პირადა“,
 ზვიადაურს ეს სტუმრობა
 უჯდება სისხლზე ძვირადა.

ეს არის ვაჟას საუფლო
 კაი ყმის წესიც ეს არის,
 ღმერთსაც არ უყვარს ვაჟკაცი
 წამების ცეცხლით მკვნესარი.

ჩხიკვთა ქორწილსაც ვენვიე,
 ვლოცე ქეთევან-ზაქარა,
 ხარირემს ცრემლი მოვწმინდე
 ჭირი იქა და აქ — არა.

შვლის ნუკრის ვკოცნე თვალები,
 ნუგეში ვუთხარ ტყის შვილებს,
 თუკი დაობლდა პატარა
 მას თვითონ ღმერთი იშვილებს.

ცის ცრემლი წმინდად ქცეული
 ამ დილით მზეს ეთაყვანა,
 „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ“
 ჩემი მეგონა ქვეყანა!..



* * *

ცაო რად გამიპირქუშდი
მაშინებს შენი ხმაური,
ქარი შეჭლმუის კედლებსაც,
ალარ გყავთ ზვიადაური.

ხევსურეთის მზე დაჭრილა
დამზაფრეს მეტის მეტადა,
ზვიადაური მოუკლავთ
„ცით ჩამოსული სვეტადა“.



* * *

„ვის გინდათ ქალი ეთერი
მე ნადირობას მივალო“,
უთხრა მეფის ძემ მამაჩემს
შვილს უკან გაძღვევ სიმამრო.

რა გვექნა, რალა გვეთქმოდა
ძლივს ავიარეთ აღმართი,
და დავუბრუნდი მამის სახლს
უმისამართო ბარათი.

გზად შემხვედრთ ეუბნებოდა:
ქალ რომ წამგვარეს წავართვი...
ტანჯვა-წვალებით გაზრდილი
ვერ გადავხვეწე შორითა,
ვერ ხდება ყველა დიაცი,
ყოველთვის სხვათა ყორის ქვა.
სწორებიც გამამეგებნენ
თეკლე, ნინო და სალომე,
— ვერ შევიყვარე მეფის ძე
ვის გინდათ აბესალომი...

„ადე ეთერო გამომყევ
შენ მომირჩინე ძმა ისი“



ეთერის პასუხი
უშთარ ნათელსა და მარეხს:

— ნუ მომთხოვ თქვენთან ჩამოსვლას
ცის მწვდომო უშთარ-ნათელო,
ვისთვისღა უნდა ვილოცო
ვილასთვის ვალამ-ვათენო.
მარეხ ვარსკვლავო, მამიდავ,
აბესალომის ძისაო,
ცისაკ აწვდილი ალვის ხე
თავს ველარ დახრის ძირსაო.
ზეცას რომ მიხვალ მარეხო,
უთხარი ქრისტე ღმერთსაო,
ტყუილად სთხოვენ სამართალს
ლარიბს და ქვრივ ეთერსაო.
მეფის ძესაც და ვაზირსაც
თავად შევაყრი ფეტვსაო,
ყველამ ის უნდა მოიმკოს
რაც ფარცხა და დათესაო.



ტაი შელია

„ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომლამდა...“

კ. გამსახურდია „დიონისეს ღიმილი“.

აღარ ვაღმერთებ დიონისეს მომხიზლავ ღიმილს და ვედარც ბახუსს ტკივილისთვის ვერ უშველია ჩემი ცხოვრების შუა გზაზე შემომლამდა იქნებ, მზის სხივებს ამაღევნო ტაი შელია. მე შენ მოგიხმობ ერთადერთო ჩემო მსაჯულო, უდაბნოდ შეთენილს მიცოცხლებდი მომაკვდავ ვარდებს, იქნება შესძლო ამარიდო წინაპრის წყევლა არცერთი ქალი ქვეყანაზე რომ არ მიყვარდეს. მოხამული ვარ მარტოობის უთქმელი სევდით სადაც მივედი დაგმანული დამხვდა კარები. თუმცა ვიყავი დიონისეს წილხვედრი დენდი და გულს არასდროს მწუხარებას არ ვაკარებდი. მაინც ვისმენდი სინანულით აღვსილ რეკვიემს, ყრუ ტკივილიდან მაინც ვედარ გამოვერკვიე. აღარ მიყვარხართ მადონებო, მოგელტვით აღარ, ვნების მინავლულ მოგონებებს აღარ აღვიძებთ. არ ვიცი რატომ მომეძალა უთქმელი სევდა რად სახლობს ჩემში კონსტანტინე სავარსამიძე. იქნებ მისთვის რომ მეც მარტო ვარ ამ უდაბნოში და ტკივილისთვის ვერავისაც ვერ უშველია, აღთქმულ ქვეყნისკენ წამიყვანე დამბადებელო, მეც მომივლინე ჩემი მხსნელი ტაი შელია.



* * *

„თავფარავნელი ქაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა...“

(ხალხური)

— ქარო, ქარო შარიანო
ნუ ამივსებ მტვერით თვალებს,
თითქოს მთელი დედამინა
ავსულივით გვითვალთვალებს.

მოვიტაცებ ასპანას ქალს
კოცნა რომ დამიგო მახედ,
— ზღვის ტალღებო ნურსად იტყვი
დღეს რომ ერთად დაგვინახეთ.

რას მექაღდით ზღვის ზვირთებო
რად ჩამძირეთ ვნების მორევს,
ჩემს საყვარელ მზეთუნახავს
უდროოდ რად დამაშორეთ.

ყორანს ჩემი სისხლი უნდა
უნდა კორტნოს ჩემი ლეში,
მაგრამ მაინც დავივანებ
სიყვარულად სამოთხეში.



თევზის წერილები

(გოდერძი ჩოხელს)

გაზაფხული ფეთქავს ხევსურულ ხალიჩებზე
 მზის სხივი ენატრება ამლას და ახიელს,
 ადამიანებმა თევზად გადაქცეულ
 კაცის წერილები დახიეს.

არა და ათასი წუხილი ჰქონია
 ცრემლებით ვაით და ვიშით
 ადამიანთაგან განდგომა არჩია
 ეძმო სიცივეს და შიმშილს.

თევზად გადაიქცა ნუგეში სოფლისა,
 თემმაც მოიკვეთა იმნამს;
 წყალთაც არ იფარეს, მძვინვარე გრიგალთა,
 მიწისთვის გარიყეს მიწას.

გული ქვად ქცეულა ადამის მოდგმისა,
 უარყვეს ღალადი ზევსის,
 მოცელილ ბალახის ტირილიც მტკივა და
 მტრედის სატკივარიც მესმის.

საფლავში არავინ არავის ჩაჰყვება,
 გაშავდა ნანატრი ფარჩა,
 და უფლის წინაშე უსაზღვრო წუხილი
 თევზის წერილებად დარჩა!..



სიყვარულს ითხოვს სიცოცხლე

„— სად არის შენი ვარდისფერი ქალაი
— ის ქალი აღარ არის აღათო
— ჯავრისად მოხვედი ჩემ შვილო
დაღონებისაა დედისავ ცხოვრება...“

**ნაირა გელაშვილი
(„ამბრნი, უმბრნი და არაბნი“)**

„ამბრნი, უმბრნი და არაბნი,
ცხენს შესხდებიან მალესა,
ცისფერ სამზეოს სანაცვლოდ
შაეყრებიან შავეთსა.

მზის ეტლი სხვაგან დარჩება
წუთისოფელის მხარესა
აღათოს ხმით ნატირლები
შენც ხომ გინვამდნენ თვალებსა.

ღიმილით აღარ შამხვდები
ლიქოკს, არხოტის ჭალებსა
ვერ დაუამებ სანუთროს,
ხევსურთ თვალშურთხა ქალებსა.

სიყვარულს ითხოვს სიცოცხლე,
სიკვდილი — გლოვის ზარებსა,
ვაი, მას, ვინაც კაი ყმის
გლოვა ზარს დაიზარებსა.



ერთი დღე ყველას გვეწვევა
 ცისქვეშეთს არე-მარესა,
 „ამბრნი, უმბრნი და არაბნი
 ცხენს შესხდებიან მალესა“...

სამზეოს გაგვყრის გაგვიღებს
 შავეთის გზისა კარებსა,
 ეს გზა კი შენთან მამიყვანს
 შენს ნახვას დამიჩქარებსა!..



* * *

— ამირანს სხვისკენ გაექცა
საცრისოდენა თვალები
ნუ იღრუბლები, ყამარო,
ავდარს ნუ დაემგვანები.

რა ვქნათ ვერ გაძლა თვალ-გული
ერთი ლამაზი ქალითა,
დედა თუ ჰყავდა ქალღმერთი
მონადირეა მამითა.



მონევეს ალსარება

მეც შენი ბედი მელის ონისევ,
 ყველაზე კარგად შენი მე მესმის,
 მეც გავიტყუე მეზობლის ცოლი
 ჩემი ოცნების უსიერ ტყეში.
 ველარ ვუძლებდი მაცდურის ღიმილს
 მეძალებოდა ისევ და ისევ
 ლუციფერთან ფიცვერცხლნაჭამო,
 მეც შენი ბედი მელის ონისევ.
 ორშაბათ დილით გამოტაცებულს,
 ისევ ვკოცნიდი შაბათს და კვირას,
 ო, სანამ ამ დღეს გამითენებდი
 რატომ არ ჩამკლეს ქარაფის პირას.
 გიშრის თვალებს და გიშრის დაღალებს,
 ჰფარავდა ღამის შავი ნაბადი,
 და მალე ვიგრძენ, საკუთარ თვალშიც
 ნელ-ნელა როგორ დავპატარავდი.
 ხევისბერი თუ ზვავმა ჩაჩუმქრა,
 ზეციერი ხომ მაინც მომისმენს,
 ცოცხლად დავმარხე ერთი ვაჟკაცი
 მეც შენი ბედი მელის — ონისე!..



სრულიად უემთხვევით

„ხელახლა, ხელახლა მეჭიდე წყეულო,
მარცხსა და წაგებას არა ვარ ჩვეული“.

(შოთა ნიშნიანიძე „ბალადა კაპიტანზე“)

მარცხსა და წაგებას არ ვიყავ ჩვეული
ყველაფერს ვითმენდი ტანჯვით და წვალეებით,
ერთხელაც მაცილი შემომხვდა წყეული
და მეც მის დაგებულ მახეში გავეხი.

ხელახლა, ხელახლა, თავიდან, თავიდან,
მომძახის პოეტი ხმამაღალ სტრიქონით,
ეშმაკსაც დაამხო, ტკივილსაც აიტან,
დაკარგულ ღიმილსაც სულ მალე იპოვი.

ხელახლა, ხელახლა იფეთქებს მარტი და
მიმქრალი თოვლიდან ამოჰყრის ენძელებს,
დარდით გადაქანცულს ქუჩაში შეგხვდება
დიდხანს რომ გიყვარდა, ბევრი რომ ეძებე.

ვერაფერს გაანყობ ვერც შენი ლექსებით,
ვერც ფერთა პალიტრით, ვერც სხვა ანკესებით.
და მაინც სასწაულს მოველი ხვალინდელს
ოლონდ დამენახოს, სულ სხვა გზით წავიდეს.



ზარები გრიგალში, ექსტაზში მოვკვდები
 როგორც აღესრულა ოქროპირ მნათე და,
 მაშინლა მეტყვიან აპრილი მოვიდა
 მაშინლა მეტყვიან — შენთვისაც გათენდა!

სანამ ამ თენებას მაღირსებ უფალო,
 აგრემც შენს მონყალე მარჯვენას ვემთხვევი
 ხვალ ნებით შევლენავ შავეთის კარიბჭეს
 ოღონდ დღეს შემომხვდეს სრულიად შემთხვევით!



„ლექსად მოვალ წეროების თოვლიდან“

„ლექსიც გაქრა, ქალის სიყვარულიცა,
წყეულებმა არ იციან დანდობა“ —

გოგლა ლეონიძე

„წყეულებმა არ იციან დანდობა“
ნუთუ გაქრა ჭაბუკური ზმანება,
შენი სიტყვის სიძაბუნე ვინა თქვა
ქალის ტრფობა ნეტავ, რამ გაანელა.

გოგლაურად სადღეგრძელო აქუხდა
წეროს თოვლში წეროები ტირიან,
მზისფერ მერანს ვინ შეჰბედავს მარწუხებს
სიტყვა შენი ურღვევი ქვითკირია.

ტანდამსკდარი მარტოსული მარტოხე,
ლიახვთან რომ მესანოლეს ელოდა,
თურმე ისიც წყნარად ფოთლის შრიალით
მარადიულ სიყვარულზე მღეროდა.

ანვიმს ივრის თვალსამოთხე ნაპირებს,
მწუხარებას გული ვეღარ აიტანს,
დედის ცრემლით დაწვეთებულ იებს კრეფს,
შენი სოფლის მზეჯავარა — მარიტა.

გოგლას ლექსის დაკმეული სურნელით
ჩემთან თვითონ გაზაფხული მოვიდა,
და თუ ამლამ მაინც გარდავიცვლებიშ
ლექსად მოვალ წეროების თოვლიდან.



შეუნდეთ კახელებო

(ლადო ასათიანს)

შეუნდეთ თვისტომნო
 ძლიერ სენს ებრძოდა უცხო გახელებით,
 როცა მონატრებით თავისთან ინვევდნენ
 გულღია კახელები.
 ენადა მენამულ ღრუბლებთან შეყრა და
 ცამ ცრემლად იდინა,
 ოცდაექვსი წლის პოეტი წამართვა
 დაწყველილ სიკვდილმა.
 ლადოს პოეზია თაკარა მზეა და სიცოცხლის იდილია
 და განა სიკვდილი ყოველთვის მართლა
 მარტოდენ სიკვდილია.
 შეხედე რამდენი ყაყაჩო გაშლილა და მზეკაბანს მორევია,
 სიკვდილი სიცოცხლეს დასჭიდებია და
სიცოცხლე მორევია.
 „სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
აღსასრულს ვახელებო,
 ენატრებოდით და რომ ველარ გესტუმრათ
 შეუნდეთ, კახელებო!



წუხელოთ ზეცას

* * *

ნუ გაუბედავ ჩემს შვილს სამძიმარს
ნიანგის ცრემლით შეთითხნილ ხსოვნას,
არ ვიღებ შენგან მოძღვნილ ნეკროლოგს
ჩემი სიცოცხლის სხივნათელ ხსოვნას.
ჟღერს რექვიემი, ჩაქრა სანთელი,
მიმაცილებენ ჰანგით მოცარტის,
ნეტავი მეთქვა ჩემი სათქმელი
სანამ „იქ“ მისვლას დამილოცავდით.



მოვდივარ!

მიახლოვდება გარდასვლა და სიკვდილის ცელი,
 მივდივარ, ვტოვებ და სიმშვიდეს იმქვეყნად ველი.
 სადაც არც განსჯა-განკითხვაა, არც ბრძოლის ველი,
 სადაც სიმდიდრით შემოსილა მშვიერ-შიშველი.
 სადაც თვალს არ სჭრით ყალბი ქვების ბზინვა ბზრიალი,
 სადაც არ არის შური, მტრობის ორომტრიალი.
 სადაც არავის არ ამშვიდებს ლიქნა-ლაქუცი
 და სადაც ბოლმას არ ახრჩობენ თრობა-ბახუსით.
 მივდივარ, რადგან არავისაც აღარ გენდობით,
 თუ გინდა რისხვით გამიხსენეთ, გინდა — შენდობით!..



* * *

სისხლისფრად ლებავს თვითონ მზესაც კაენის მოდგმა,
თვალეზის დათხრით სურს განამონ ავსულთ ხელებმა,
გაქცევენ მუნჯად თუ წამოგცდა მართალი სიტყვა,
გინდ დემოსთენეს მიგიგავდეს მჭერმეტყველება.
მახინჯს მახინჯი იზიდავს და ბრიყვს — უფრო ბრიყვი,
ლოთებსაც — ლოთი, თავცარიელებს კი თავთავი მჩატე,
ამიტომ ბევრჯერ ამომგლიჯეს საგულეს გული,
სისხლის ნვეთები გამიქვავეს — მიძივებად ფანტეს.
რადგან არასდროს მდომებია ლაქის ტახტი,
და აჰა, უღვთო განჩინებაც შენგან დღეისა,
მაგრამ გარწმუნებ, მიეზღვება პოეტს — პოეტის,
ავსულს — ავსულის,
კეისრისა — მხოლოდ კეისარს.
იმ გზით მივდივარ, სადაც მართალ სულებს უვლია,
ნუ გეგონება, სიკვდილის გზა — დასასრულია!..



* * *

ლექსში ტკივილმა იმატა
 აზვირთა დარდის თქეში
 ახლა მჭირდება უფალო
 გაქვითკირება შენში.
 ფიქრს ზღუდე აღარ ევლება
 უდაბნოვდება დილა
 რომელ გზიდანაც მოვედი
 იმავ ბილიკით მივალ.
 შემომალამდა შაბათი
 არ მითენდება კვირა,
 ხან შვებად გხედავ, სიკვდილო,
 ხანაც — მზაფრავ და მყინავ.



* * *

უკვე მერამდენედ მიხატავ ანანურს
 თეთრი და შავი არაგვის პაემანს,
 წითელ-ყვითელ ფოთლებს ქარში არეულს,
 ლექსებს ღიმის და ღვინოგარეულს
 ატმის და ალუბლების ხეთა ქორწილს
 ირმის მყირალობას და შვილის შვილთა ძეობას,
 წუთისოფელი უკვე შემომეძარცვა
 ინავლება იმედი და მხნეობა.
 მოდი თორემ უსურვილოდ ვქრები
 მოლოდინი სიზმრადაც არ მასვენებს
 საჩემო გზით აღარავინ მოდის
 მხოლოდ თოვლი, მხოლოდ წვიმა მახსენებს...
 კუბოს მიჯრით მოაყრიან მიწას
 ჩემგან რჩება ლოდინი და ბორცვი,
 ქრისტესისხლად მოვედები მიწას
 ლენცოფას და ეკალს ისე ვკოცნი.
 როგორც ღვიძლ შვილს მამიდას და დეიდას,
 ბავშვობაში აუხდენელ სურვილს,
 გულზე სითბოდ დამელვრება მზე და
 ვერ მომიკლავ წუთისოფლის წყურვილს.
 შენ მაინც ჯიუტად მიხატავ ანანურს!...



* * *

„სიკვდილი დედა ყოფილა,
სიცოცხლე — დედინაცვალი“

ვახუშტი კოტეტიშვილი

ვერაფრით ველარ გადავიხადე
ჩემი სანუთროს ხარკი და ვალი,
სიცოცხლე ციხედ ყოფნას მაგონებს
ვგმინავ ბორკილქვეშ ნახევრად მკვდარი.

სიყვარული კი ბრმა განჩინება
და ეშაფოტზე ღიმილით ასვლა
სიკვდილი ვისთვის — დედინაცვალი,
ვისთვის ციხიდან დროულად წასვლა.



* * *

უმადურობის ზეობა
ზოგჯერ სანუთროს წესია
დამჭრეს ორპირი მახვილით
მანც არ დამიკვნესია.
როდის გვალირსებს სამართალს
ყოვლადძლიერი მესია.



ახლა ვარ პინდი შემოდგომისა

„მაშფოთებს ჩემი რექციემი“

მოცარტი

შენ ესწრებოდი სერობის ღამეს
 უფლის შესამუსრ მახვილს ლესავდი
 მახვევდი სულის შემხუთველ ბნელში
 და მაჩვენებდი ღამეს დღესავით.

განირე ყველა, ვინც კი მოგენდო
 ვერ გაარჩიე მტყუან-მართალი,
 წამართვით დღენი გაზაფხულისა
 და დამიტოვე მკაცრი ზამთარი.

დაუნდობელი სოფლის ტრიალში
 ვერ გავარჩიე კარგი და ავი,
 მზადა ვარ ხარკი გადაგიხადო
 მზად ვარ შენს თვალწინ მოვიკლა თავი.

სიკვდილს ღიმილით შევესიტყვები,
 გულს შევაგებებ ალესილ მახვილს,
 ოღონდ მოყვასად ნუ მომაჩვენებ
 დემონის ხმას და სატანის ძახილს.



* * *

დღეს გარდვიხადე სანუთროს ვალი
დღეს ვუერთდები კვლავ მიწის წიაღს
ზეციდან ღმერთის მომესმის ლოცვა
ცოდვები მაცდურს ქვესკნელში მიაქვს.
მესმის შენი ხმაც ღონემიხდილი
ვიცი მავედრებ წმინდა მარიამს
გსურს დავიმკვიდრო სასუფეველი
მიწაზე რადგან სიმწუხარეა.

დედის ცხედართან ფერმკრთალი ბავშვი
ანთებულ სანთელს მხოლოდ შენ გართმევს,
ვიცი შენ ეტყვი ჩემს ყველა წუხილს
ვიცი შენ ეტყვი ჩემს ყველა სათქმელს.
დარდებთან შთენილს მიყურებ უხმოდ
ხედავ რაც გულში ცეცხლი დავტიე,
არ ვიცვი ნეტა, რად გიკითხავდი
ქვად ქცეულ ლანდთა ეპიტაფიებს.
შენი ცრემლებით განიხვნა ზეცა,
წამით მტარვალი ყველა მოისრა,
მკვდართა მზეს გავეყვ და დავივანე
ახლა ვარ ბინდი შემოდგომისა.



ღმერთთან დავბრუნდეთ

განველ მაცდურო უღვთოდ რატომ მომძალებიხარ,
 შემომიჩნდები, უგზო-უკვლოდ იწყებ ბორიალს,
 რაში გჭირდება ქვესკნელს ჩემი შემოხეთქება
 ამოუხსნელი ტკივილი და მელანქოლია.
 რად გახალისებს ჩემი ცრემლის ზღვა და მდინარე
 ერთ დროს ღვთის ტყვე ხომ შენც იყავი კეთილი.
 ადამის ძენო სანამდე მსხვერპლს შემოგწირავდნენ
 ერქვათ ედემის ბინადარი ერთგული ძმები.
 რად ჩაუსახლდი ტანმოხატულ გველს მაცდუნებლად
 ყელზე რად მახვევ დასახრჩობად მოსირმულ საბელს,
 ცაში ღმერთს ისევ თავს ახსენებს ცხელი სისხლი და
 უშენოდ ისევ უწევს ძმობას კაენი აბელს.
 მოდი, აენტე პირველქმნილი უბინობით და
 ავხედოთ ზეცას, მოვეფეროთ მენამულ ღრუბლებს
 რა დავგრჩენია დაუნდობელ წუთისოფელში
 ღმერთთან დავბრუნდეთ!



* * *

ველარ დაველწიე ზამთარს
მომწყინდა გულუხვად თოვა
ნეტავ, სად ვიქნები მაშინ
როცა დასასრული მოვა.

* * *

გულბაათივით
წამაქცია ერთმა ჭინჭილამ,
რადგან ღვინოში მაპარებდნენ
გესლის ფიალებს
გადავიკარგე თვალუნვდენელ
დასალიერში
და არც კი ვიცი აქ როდემდე
ვიხეტიალე.
ყველაფერს თავის დრო ჰქონია
მკორტნის ჭილყვავი,
ისევ შენ გერქვას
გამარჯვებულ-გაურიყავი.



* * *

არ შემარჩინო უფალო
 სხვისი კუთვნილი დიდება,
 არც ზეცა მინდა უავდრო,
 არც მზის ბრდღვიალი მჭირდება.
 არც ოქრო, თვალ-მარგალიტი,
 არც ნავლი სხვისი ცეცხლისა
 თავი არ დამახრევენო
 სიკვდილის დღესთან შეყრისას.



მამას — ცოცხალს და გარდაცვლილს

გიშლის მკლავის გაშლას ვინრო სასაფლაო,
 თუ მართლა ცაშია საუფლო სულეთის?
 მოდი და მიაბე რა მოხდა მას შემდეგ
 რაც მლეთას გადაღმა მიხვედი.

როგორ შეგეგებნენ პაპა-ბებიები
 გაზრდილი თუ გიცნეს მაშინვე
 მითხარი სიკვდილი სასჯელი არის თუ
 ტყუილად მზაფრავს და მაშინებს.

რის შიში, რა შიში,
 მხოლოდ იქ ვმერყეობ,
 სადაც არ სჩანხარ და არა ხარ,
 ვიყო მინის გულში, გინდაც ზეცის თაღთან
 ყველგან ყოფნისთვის ვარ თანახმა.

გინდა ათქვირებულ ჯეჯილს შევერიო,
 გინდა დავიმკრახო ვენახად,
 ოღონდ ვიცოდე რომ ახლოს მყავხარ
 ოღონდ გხედავდე რომ შენა ხარ.

თანაც უკვე გავცდი ასაკს ბავშვობისას
 დიდი ხანია რაც დიდი ვარ,
 მინდა მამის ლანდი იქ მიმაცილებდეს,
 სადაც სამუდამოდ მივდივარ.



ნეტა ზეცის თაღთან სამსჯავრო მელის თუ
 მინა მინად ქცევას მიპირებს,
 და ჩემი სათქმელით მორთავს ნუთისოფელს
 მთებს ნაკადულს და ტყისპირებს.

მოდის თოვლს მოარღვევს თავნება გაზაფხული,
 და ხეებს ასკდება კვირტები,
 უშენოდ შიშს თვალები უდიდდება
 მიყვარხარ, მენატრები, მჭირდები!



დამიბრუნდი

გამიყიდეს საქართველო
ტყე, მინდვრიან ველიანად,
შვილიანად, ძირიანად,
მგელიანად, შველიანად.
სიყვარულიც გამიყიდეს
არ არჩევენ ღარიბს, მდიდარს,
გვალვამ ყანა გადამიხმო
აღარ ცვივა წვიმა ციდან.
შვილიშვილიც გამიყიდეს
ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გაღმა,
გამიყიდეს სასაფლაო
შამბმა მხრები აიმაღლა.
ძმის ხსოვნასაც მიყიდიან
გულსაც მგლეჯენ ნელა-ნელა,
იმერეთში მარჯნისფერად
თუ აყვავდი საპოვნელავ.
მაპოვნინე რაც წამართვა
მტარვალმა და ჟამთა სრბოლამ,
დამიბრუნდი ღამაზთვალავ
აღარ მინდა ბედთან ბრძოლა!..



ქუჩნასკნელის დღიუჩიღან

* * *

უკანასკნელთა შორის ვპირველობ
 ლომის ბუნაგში ვფხაკუნობ ვირთხა,
 ზოგს „დიდოსტატის მკლავი“ უკურთხეს,
 მიმანდეს მლიქვნელს, მჩხიბავს და მკითხავს.
 პოეტებს სიტყვა როგორ შევბედო
 მე ხომ არ ვიცი წერა და კითხვა,
 ვგავარ თვალთაოხრილ უჟმურ თოჯინას,
 მაგრამ ბევრ ლამაზს მაინც ვჯობივარ.
 თქვენ პალატები გქონდეთ სამეფო,
 მე ვირთხის ბოლო ბედი — ხაფანგი,
 მქონდეს დღემოკლე ეს შემოდგომა
 დემონთა ფერხულს ველარ ვნახავდი.
 იყოს ეს ღამე უკანასკნელი
 იყოს ეს შხამი ბოლო სახადი.



* * *

დავდივარ, ვეძებ ქალაქის ჭორებს
ვაგროვებ ამბებს ჭრელ-ჭრელ ფრთებიანს,
ვინ შეარიგეს, ვინ დააშორეს
ვის ვის მკლავებში ჩასძინებია.
დავწერ რომ ხვალე ყველამ იცოდეს,
იმედს ვუცოცხლებ მზეგამქრალთა ხსოვნებს,
ჩამომეშალა ჩემი აკლდამა,
სხვის ცოდვა-ბრალის ურცხვ მეციხოვნეს.



ავტოპორტრეტი

(იუმორესკა)

დღეში რომ იტყვიან ცხრა პარასკევი გაქვს,
 ხან გოლგოთა გიპყრობს, ხან ჟამთა სიავე,
 ხან ძერწავ ასხლეტილ ვაჟკაცებს თიხისგან,
 მერე მტვრად აქცევ და მთლად გაანიავებ.
 კლდით გადაშვებულხარ უფსკერო მორევში,
 თან ცდილობ ტაძარში მონაზვნად გაკურთხონ,
 წადი სადაც გინდა, ტრაბახს კი მოეშვი,
 ემანდ, ხვლიკი ჯოგი არავის დაუფრთხო...



ეკა ბაძრაძეს

დღეს სიმახინჯეს უსამართლოდ უკმევენ გუნდრუკს
და უზნეობას მიუჩინენ კვარცხლბეკს დიდების,
პოეტები და სათნოების მძებნელნი ქვეყნად
ეზედმეტებით, არაფერში არა სჭირდებით.

ნიჭს არ შეგინდობს უბირი და ველური მოდგმა,
ცდილობს მგლად იქცეს დაგტოროს და სისხლი გადინოს,
აბა, რა გითხრა, სანუგეშოდ გამიწყდა სიტყვა,
პირქუში ყოფა რა ვქნათ, როგორ გავიადვილოთ.

გასანყნარდა უტიფართა ზეობა, ბოდვა,
ყოველ წუთში რომ ტალახს გცხებს და
სიხარულს გტაცებს,
არ დამიღონდე, გნამდეს შენი ერთადერთობა,
სძულთ პოეტები უსახურ და პატარა კაცებს.

სძულთ პოეტები უსაჭრეთლოდ ნაქანდაკ ძეგლებს,
ცოცხალ გვამებს და ქალის სახით შექმნილ ქვითკირებს,
და რადგან მსხვერპლად მეც ვიქეცი დემონთა რისხვის
როცა მოვკვდები მაშინ არა, ეხლა მიტირეთ.



მინთიხარ წმინდა მაცხოვრის სანთლად

ანი შავლაძეს

გაგონდება თუ არა
 ქანცგამწყვეტი დღეები,
 გადამწვარი სამოთხე
 ნახანძრალი ტყეები.
 სასიკვდილო ჭრილობა
 გესლიანი ისარი
 ექიმების ჩურჩული
 არა, ცოლი ის არის.
 მაგონდება თუ არა
 დანალმული ქუჩები
 გაუმხელელ განდობის
 ცეცხლად აელვარება.
 ამ დახუთულ აგვისტოს
 თუკი გადავურჩებით
 სიცოცხლის სადღეგრძელოს
 კაცი კიდევ დალევდა!.



გ ა ზ უ ზ ო ა ნ ი ს ღ რ ი ი ნ დ ე ლ ი ლ ე მ ს ე ბ ა ი

* * *

ვიმარჩიელებ ფოთლის კარტებით
 და მთელი ღამე ვიფიქრებ შენზე,
 თუმც ფეხშიშველი ბოძა ვარ მაგრამ
 გულწრფელ სიყვარულს მე მაინც შევძლებ.
 შავი მზეები აივსებიან
 ჩუმი ცრემლებით სევდიან დღეში,
 მე გელი მაგრამ ფიქრები მათოვს,
 და გიცდი ქარში, ნვიმაში, მზეში.
 ჩემს ხვალ სხვეები მოვლენ
 თუმც ფეხშიშველი გოგო ვარ ბოძა,
 შავი მზეები სიყვარულს გთხოვენ,
 შენ მათი ცქერა არ გიღირს გროძად.



* * *

კვლავ ლურჯ ზღვასავით აღელდება შენი სიმშვიდე და გულთან ერთად ათრთოლდება თეთრი ხელები, მე გვირილებად, ყოჩივარდად, იად, ენძელად ულევ სიხარულს მოგიტან და მოგეფერები. შენს სავალ გზებზე მე მოვქარგავ ყაყაჩოებს და სიმნარის ეკლებს გადავაქცევ ცისფერ იებად, ისე კარგი ხარ, ისე ნაღდი, ისე გულწრფელი ყველა შეცდომა დიდსულოვნად გეპატიება. მე შენს ხატებას შევადარე მარადისობა დამშვიდებულ ზღვას სევდიანი შენი თვალები გრძნეულ მზეჭაბუკს ანდა როგორც ვარსკვლავთბიჭუნას ნაგიკითხავდი, ზღაპრებიდან შეგიყვარებდი. და მაინც უნდა მაპატიო ყოვლადძლიერო ნყენის სანაცვლოდ თუ მოგიზღე სამაგიერო.



* * *

თუ ისევ ზღაპრიდან მოხვედი
მე დღეს სასწაული მენვია
ჩემო თვალხატულა სიცოცხლევ
ჩემო პანანინა მზენვია.
ბრონეულს ყვავილში ჰყოლოდი
დევების თავები მოგორავს,
ზღაპრიდან მზედ გამომეცხადე
ჩემო საყვარელო გოგონა.
შენ უწყი, მარტოდენ შენ უწყი
სინმინდით მადარებ ზედაშეს
მხოლოდ შენ მოურჩენ ჭრილობებს
მხოლოდ შენ აცოცხლებ დედაშენს.



* * *

მარტო ვარ და მარტოობა მისმენს
 სიჩუმეში აქვითინდა სევდა,
 რად არ გინდა ინახულო ისევ
 შვილო შენი უცნაური დედა.
 მხოლოდ სიზმარს ვეფერები შენსას
 ვარდისფერი სიზმრით ვცოცხლობ შენით
 არ დაგიპყროს გულგრილობის სენმა,
 და სანაცვლო იყოს დედაშენი.
 გულზე ისარს გესლის ისარს მირჭობს
 სანუთრო და უშენობის სევდა,
 მოდი, თორემ მოგიკვდება ბიჭო, დედა.



* * *

და ყოველ დილა როს გაგყრიან სხვათა ვნებები
და შუქი შენი მზის სხივებად მომეალება,
მიმწუხრის ჟამსაც მინათდება სასუფეველი,
თუ შემეფეთა შენი სახე ფრესკისთვალემა.
და მე არ ვიცი შენი გზების სასწაულ უფალს
ვით შესწევთ ძალა და ამ უღელს როგორ იხსნიან
არა ხარ ქალი, არც ქალური სინაზე გიკრთის
ალუბლისფერად ბაგე მაინც დაგისისხლია.
ყველაზე მძაფრად ანსხეულობ დონ-ჟუანს, რადგან
მე არც მაგ შენი დონ-ჟუანის არ ვარ მგმობელი,
ლექსად თუ სევდად შემომენტო ნუხილის ღამე
შეუბრალებელ სილამაზის საგალობელი.
და თუ მზადა ხარ საუკუნო ვნებით მანამო
შენს ხილვას მაინც არაფერი არ მირჩევნია,
და დიაცური სინატიფე რომ არ დაგნამონ
შენ ეგ ნახმლევიც სილამაზედ დაგიმჩნევია.
შენს ხმათა ხავერდს ხმები სხვათა ვით შევადარო,
და თუ შენს ხსოვნას ფერმიხდილი თოვლად გადნები,
მე მაინც თან მდევს შენი უღვთო ეგ სილამაზე
და ჩემი ძებნის შენებური დანაქადნები.
არ დამპირდება არცრა სურვილს ქარი ნოემბრის
არ შემაფეთებს შენს ხატებას თვალებს მოისარს,
თუმცა ხარ სევდა ფერმიხდილი საღამოების
სათავე ჩემი ტკივილების და სიშორისა...



* * *

მოლოდინს ღამე აკრობს წვალეების
 უდაბნოვდები რადგან სოფელო
 განმეშორები ვიცი ადრიან
 შენ ჩემი მოდგმის უარმყოფელო.
 მიმწუხრი სულში თოვს გამეტებით
 და სულიც უღვთოდ ბინდისფერდება
 რადგან სატანა ჩემში რომ სახლობს
 მეც საუკუნოდ შემაბერდება.
 ვერ გავექცევი ვერასგ ზით ვიცი
 მზენარევ ხმას თუ დამცინავ სიცილს,
 და ჩემში თუ დღეს დემონი სახლობს
 გვედრებს სიკვდილო კვლავ მომეახლო.
 თუ ჩემი არსი სულეთში არ არს,
 და უჩემობა არის სულერთი,
 ანდა სულერთი არის ყოველი
 ჩემთვის ყოველი არის სულერთი.
 მე სხეულს სწრაფად დავტოვებ მაშინ,
 განყდება შენი ხსოვნის ძაფები
 უთუოდ მერე წყაროდაც მოვალ
 შენ თუ მწყურვალი დამენაფები.
 არ ვქირდავ ბედს და უღვთო განაჩენს,
 ღმერთმა ქმნა იგი რაიც ენება,
 ან მიწერია სიცოცხლის სრულქმნა,
 ან ამ დილისაც არ გათენება.
 და მაინც წუხილს ვიოკებ ველარ
 რომ არ მოვედნენ სუნთქვად იების,
 არ გექნებოდა წყურვილი მაშინ



არ დანდობის თუ შურისძიების.
ან თვალცრემლიან გვირილებს ვგავდე
ან ისლიანს თუ ტყეებს იფნიანს,
ოღონდაც ერთხელ გულწრფელად გეთქვა
რა ლამაზია, რა ნატიფია.
და შენი ლურჯი თვალებიც მაშინ,
გაცისკრდებოდნენ სულ სხვა იერით,
არ გახდებოდა ჩემი სიცოცხლე
ჯოჯოხეთური დასალიერი.
მოლოდინს ღამე რადგან აწვალებს
უდაბნოდ ქმნიდა ჩემი სოფელი,
მინამებია რადგან ყველაზე
ჩემი ყველაზე უარმყოფელი.



* * *

ნუ დამპირდები დაფერილ სურვილს
 ნურც მოლოდინის მომქანცველ წამებს,
 მითხარ რომ მხოლოდ სიზმრებად მოხვალ
 მოხვალ და ცრემლით ამივსებ თვალებს,
 ნუ დამპირდები რომ მოვა მარტი
 და მინდვრის ყვაველთ დამიკრეფ მინდვრად
 მითხარ რომ ლურჯი ზმანება გაქრა
 და ჩემი ნახვა სულაც არ გინდა.
 ნუ დამპირდები აპრილის სუნთქვას
 შატილის ცას და ხახმატის მთვარეს
 მითხარ, რომ მხოლოდ ტკივილად მოხვალ
 და ლამაზ დღეებს დაასამარებ.



ზურა ელიკაშვილს

უფალო გვედრებ დაიფარო ნუხილის ჟამსა
თუ ავდარიანმა სიყვარულმა ხელი დარია,
წმინდა მარიამ დააფარე მოწყალე კალთა
გებარებოდეს ყველა გზაზე — წმინდა მარიამ.
ნუ შეაფეთებ ტკივილებად ფერმიხდილ ღამეს
სიყვარულის წილ ნუ მიაგებ გვირგვინს ეკლიანს,
ჰფარავდი რადგან სევდიანი თვალები ლურჯი
უზაკვო სულის სევდიანი ანარეკლია.
ფიქრს ზეცისაფერს ნუ მონისლავს ნურასდროს მწუხრი
სინათლის ფერად განუნათოს ცამან იერი,
გემუდარები ბედნიერი ამყოფე ღმერთო,
უსაყვარლესი ძმაი ჩემი, უფლისმიერი.



* * *

წუხილთა ფიქრი გაინაპირეს
 და ჩამომეხსნა გულზე დარდები,
 აღარ ვალმერთებ იმ ლურჯ აპრილებს,
 არც შენ აღარსად არ გელოდები.
 სიცოცხლე ისევ ყვავის ვარდებად,
 გაქრა წუხილი და გარინდება,
 აღარასოდეს შემეყვარდება,
 ვინც ყოველ დილა თვალს მარიდებდა.
 ცეცხლის მფრქვეველნი დაცხრნენ ვერძები,
 ალბათ, სატანაც მარქმევს ცოდვიანს,
 თუ სიყვარული შენ ვერ შესძელი,
 ვაი, რო კარგად არც მე მცოდნია.



* * *

გალაკტიონის გახსენება

„გაგონდება თუ არა, კარალეთის დღეები,
 დახუთული აგვისტო, დანალმული ტყეები,
 ფერთა კრიალოსანი, გესლიანი ისარი,
 ექიმების ჩურჩული, არა — ცოლი არ არი.
 ცრემლნარევი გვშორდები,
 დახუნძლული ცოდვებით,
 დამეული ბოდვები —
 თუ სიმართლის მიგნება,
 ხვალე ვიცი, ძილის წინ
 აღარ გემახსოვრები,
 ჩემი ლექსიც უთქმელი
 სადღეგრძელო იქნება.
 გაგონდება, თუ არა,
 ნახანძრალი ქუჩები,
 დაუფინყარ წუთების ცეცხლად აელვარება,
 ამ დახუტულ აგვისტოს თუკი გადავურჩებით,
 სიცოცხლის სადღეგრძელოს კაცი კიდევ დაღევდა!

2008 წელი,
 აგვისტოს ომის დღეები



სიკლიდან „ამხედრთ ზეცას“

* * *

„მე და შენ ღმერთო,
ან მე და თქვენ
ან როგორც არი“

გიორგი არაბული

ერთხელაც მენდე „მე და შენ ღმერთო,
ან მე და თქვენ ან როგორც არი“ —
დავესესხები ხევსურ პოეტს ორღესულ სტრიქონს,
გაგიკვირდება დემონური სასმელით მთვრალი
რომ ვილტვი შენკსკენ და შენეულ სამართალს ვითხოვ.
მე და შენ ღმერთო, მე და შენ ვართ აქ ახლა მარტო,
ათასჯერ მაინც გაჩნდა, მახსოვს, ჩვენ შორის ბზარი,
და იმის ნაცვლად, შენთვის ბრძოლის ჟინი მეთხოვა,
უნიათობით, მეხთატეხით, მოთქმით და ზარით,
ვუსმინე ნიცშეს მომნამვლელი ჩურჩულით ნათქვამს:
რომ ღმერთი არა არს, ჩემი წილი გამწყრალა ხატიც,
გზა ამეზნია, მაპატიე, შეგცოდე, ღმერთო,
ვერ გავარჩიე მოლანდება, ბინდი და ცხადი...
მე და შენ ღმერთო, ყველაფერი ვიცით და მაინც,
თვითონ შენთანაც ვკადრულობდი უნიჭო ნიღაბს,
უილაჯობით დათრგუნული, მშიშარა, მხდალი,
ვემდურებოდი უღმერთობით დანხილულ იღბალს...



ღმერთის წყალობა ცოდვის მიძიმე სუსხი მეგონა,
 მე ახლაც ვნატრობ განძად ქცეულ ჭუჭყიან ქალაღდს,
 რადგან უმისოდ გამიჭირდა გავშალო ფრთები,
 ვიცხოვრო მშვიდად, უშფოთველად, ლამაზად, ლაღად...
 მე და შენ ღმერთო, იქნებ მითხრა, რად ვერ ვრიგდებით,
 რატომ ვერ ვცხოვრობ შენს ნიაღში მცნებების დაცვით,
 ხან მამასავით მზრუნველი და ღმობიერი ხარ,
 ხან მეტისმეტად უღმობელი, პირქუში, მკაცრი.
 არ მინდა, შენთან პირფერობა ლოცვის სიმრავლით,
 არ მაპატიებს ზენაარი მკრეხელურ სტრიქონს,
 მაინც დემონის მომწამვლელი სამსალით მთვრალი,
 შენგან ღმობიერ სამართაღს და სიკეთეს ვითხოვ.
 მე და შენ ღმერთო, მე და შენ ვართ აქ მხოლოდ ორნი,
 თან ახლობელი მგონიხარ და თან შორზე შორი,
 ხან თვითონ მე ვარ კაენის და აბელის დედა,
 შენთან საუბარს და კამათსაც ამიტომ ვბეღავ.
 სცადე, ერთხელაც დამაბრუნე
 წართმეულ ედემს,
 სცადე, ერთხელაც,
 გევედრები,
 ერთხელაც მენდე!



ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან	3
მინდვრის ყვავილი (ვახუშტი კოტეტიშვილი)	5
რედაქტორისაგან (მზია ხეთაგური)	7
*** (დეკანოზი ილია ჩიკვაძე)	8
მე ვარ სიყვარული	
*** იყო და არა იყო რა	9
*** ქარო	11
მე ვარ სიყვარული	12
*** დღეს მინდა იმ გზაზე წავიდე	14
რალა მომკლავდა	15
მე უშენობა მკირღება ზესკნელს	16
მერწმუნე დავით!	18
*** ახალწლის ღამეს	20
*** არავინ აღარ მგონია	21
თამარ!	22
*** აღარ მომიწევს წარსულთან შეყრა	23
*** „რალაც მენყინა შენგან პროშანავ“	24
*** ნეტავი რატომ	25
პოეტი პოეტს სტრიქონს უძირღავს	26
დღევანდელი ძრონიკა	27

* * * გადაუშლელი წიგნი ვარ	28
ბავშვობის დღიურიდან	30
ვასუშტი კოტიტიშვილს	31
მზიოს	32
* * * დაუნდობელი ზამთრის შემდეგ	33
არ მინდა მიყვარდეს	34
* * * ნუ დამპირდები...	35
* * * ჩემგანვე შეთხზულ ზღაპრებს გიჯერებ	36
* * * სიცოცხლეს სტაცებ უნათლეს წამებს	36
* * * თმოგვის ციხესთან	36
ნათა რა შესცოდა სიცოცხლემ	37
ბნელი წარვალს!	38
* * * შენი ბალის ჩრდილში	40
ციკლიდან „ფშავის ჩვენებანი“	
შუაფხოს ღამე	41
ძნელია უღეძსოდ სიცოცხლე	42
* * * მიჯნურის ცეცხლი არა მწვავს	44
„იაღსარ მამახის“	45
კვლავ გამითინე ათინგანობა	46
* * * რომელ ქვას ამამაფარებ	47
მშვიდობით ქალავ!	48
* * * დავტოვე ფშავის მთები და	49

* * *	ქალის ალერსი მეგონე	50
* * *	სანუთროვ სიზმარს მიგანდე	51
* * *	თავი მზექალი მეგონა	52
* * *	თამაშობს წითელკაბაი	53
* * *	მაცილმა კრულვა-დაცინვით	54
* * *	დამლანდე, განზე გასდექი	55
	ნადი თუ წამაპალი სარ	56
* * *	სამსხვერპლო ცეცხლად აანთე	58
* * *	სიკვდილმა ჩამაიარა	58
	ნუ ახვალთ ცაბაურთ ბორაზე	59
	ნუ გამანზილუბ სიკვდილო	60
	ქალს მე, ქალს — წუთისოფელი	61
	ფუფალას როლი	62
	ფატმან ხათუნი	64
* * *	ხმალს აფხავებენ ხევსურნი	65
	ვაჟას სამყაროში	66
	ცაო რად გამიპირქუშდი	68
	ვის გინდათ ქალი ეთერი	69
	ტაი შელია	71
* * *	ქარო, ქარო შარიანო	72
	თევზის წერილები	73
	სიყვარულს ითხოვს სიცოცხლე	74

* * * ამირანს სხვისკენ გაექცა	76
მოხევეს ალსარება	77
სრულიად შემთხვევით	78
„ლექსად მოვალ წაოჯობის თოვლიდან“	80
შეუნდეთი კახელებო	81
* * * ნუ გაუბედავ ჩემს შვილს სამძიმარს	82
მოვდივარ!	83
* * * სისხლისფრად ლეზავს	84
* * * ლექსში ტკივილმა იმატა	85
* * * უკვე მერამდენედ	86
* * * ვერაფრით ველარ გადავიხადე	87
* * * უმადურობის ზეობა	88
ახლა ვარ ბინდი შემოდგომისა	89
* * * დღეს გარდვიხადე სანუთროს ვალი	90
ღმერთთან დავბრუნდეთ	91
* * * ველარ დაველნიე ზამთარს	92
* * * გულბათივით...	92
* * * არ შემარჩინო უფალო	93
მამას — ცოცხალს და გარდაცვლილს	94
დამიბრუნდი	96
ქურნალისთვის დღიურიდან	
* * * უკანასკნელთა შორის ვპირველობ	97

*** დავდივარ, ვეძებ ქალაქის ქორებს	98
ავტოპორტრეტი	99
ეკა ბაძრაძეს	100
ანი შავლაძეს	101

ბავშვობისღროინდელი ლექსები

*** ვიმარჩიელებ ფოთლის კარტებით	102
*** კვლავ ლურჯ ზღვასავით...	103
*** თუ ისევ ზღაპრიდან მოხვედი	104
*** მარტო ვარ და მარტოობა მისმენს	105
*** და ყოველ დილა...	106
*** მოლოდინს ღამე აკრთობს წვალეების	107
*** ნუ დამპირდები დაფერილ სურვილს	109
ზურა ელიკაშვილს	110
*** ნუხილთა ფიქრი გაინაპირეს	111
*** გაგონდება თუ არა...	112

ციკლიდან „ავხელოი ზეცას“

*** ერთხელაც მენდე...	113
-----------------------	-----

მართა (მანია) იანუშვილი
ქალს მე, ქალს წუთისოფელი
ლექსები

წიგნი დაკაბადონდა
ჟურნალ „საქართველოს მოამბის“
რედაქციაში.

დამკაბადონებელი: გონა სოზიაშვილი

ქალაქი ოფსეტი №1. ქალაქის ზომა
60X84 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 7.5

ვასი სანელაშვილები

თბილისი
2024

